


კვირა 15 აგვისტო

ფასი ორი შაური



ბელეტრისტ-დრამატურგი დავით კლდიაშვილი

(მის თხზულებათა გამოცემის გამო)

ექ. ვ. დ. ლამბაშიძის

# ს-ა-ნ-ა-ტ-ო-რ-ი-უ-მ-ი

## პატარა ცემში

ბაკურიანის რკინის გზაზე, 4,400 ფ. სამაღლე

**15 ივნისიდან 31 მარიამობისთვემდე**

**ორის განყოფილებით, ერთი — საბავშვო, მეორე — დიდებისათვის.**

პირობების გასაგებად წერილით უნდა მიმართონ **ბორჯომით** პატარა ცემს ექიმს **ვახტანგ ლამბაშიძეს.** 10—8



# „ცოდნა“-ს

## წიგნის მაღაზიაში ისყიდება

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| არითმეტიკ. კრებ. ხრამელაშვილის I ნ. | „ | 30 |
| „ „ II ნაწ. | „ | 40 |
| არითმეტიკის სახელმძღვანელო მისივ. | „ | 80 |
| ქართული წერის დედანი მირიანაშვილისა | „ | 40 |
| ნიკ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები დ. კარიჭაშვილის ბიოგრაფიით, ილ. ჭავჭავაძის კრიტ. წერილით და ივ. გომართლის ლექციით. | „ | 40 |
| იმერეთის მეფე სოლომონ, ბ. ხახანაშვილისა | „ | 25 |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა | „ | 20 |
| ალექსი, პოემა აკაკისა | „ | 10 |
| სიმღერა აკაკისა | „ | 15 |
| ილ. ჭავჭავაძის რჩეული ლექსები | „ | 15 |
| ბაშიაჩუკი, აკაკისა | „ | 30 |
| სამშობლოსათვის თავდადებულნი | „ | 40 |
| რუსთა დამყარებასა ქართველოში | „ | 20 |
| ათი მოთხრობა, ივანე მაჭავარიანისა | „ | 20 |
| იაპონია, ნ. ნიკოლაძისა | „ | 20 |
| ხალხური ვეფხის ტყაოსანი | „ | 10 |
| დიდი ვეფხის ტყაოსანი მშვენიერის ყდით | 3 | „ |
| კულტურა ლიპერტისა | „ | 50 |
| ყაზბეგის სრული თხუზულება ერთ ტომად | 3 | 50 |
| ლექსიკონი საბა ორბელიანისა | 3 | „ |
| ლექსიკონი ქართულ-რუსული ბაღაშვილისა | „ | 50 |
| ლექსიკონი ქართულ-რუსული ყიფიანსა | „ | 50 |
| ლექსიკონი რუსულ-ქართული სახოკისა | „ | 20 |
| ჩუბინაშვილისა რუსულ-ქართული | 2 | 40 |
| დამონებულნი (ბოლგ. განთავ | 1 | „ |
| ქართველთა ტომი, სურათ. ალბ. | 3 | „ |
| აღდგომა, ტოლსტოისა | 1 | 20 |
| საქართველოს გეოგრაფია, ვახუშტისა | 2 | „ |
| სერგეი მესხის თხზულებ | 1 | „ |
| მამია გურიელის თხზულება | 1 | „ |
| აკაკი წერეთლის თხზულება I და II ტომი | 2 | „ |
| თავ-გადასავალი, მისივე | 1 | „ |
| რაფიელ ერისთავის თხზულება | 1 | „ |
| ი. ევდოშვილის თხზულება | „ | 60 |
| სამზარეულო ქართული საჭმელებისა | 1 | 50 |
| ლალატი ა. სუმბათაშვილისა დასურათებული | 1 | 25 |
| ქვათა ღაღადი და სომეხთა მეცნიერნი ილია ჭავჭავაძისა | „ | 30 |
| ზღაპრები დასურათებული ყდით I ტომი | 1 | 25 |
| ზღაპრები ტომი მეორე, | 1 | 30 |
| შილლერის პოეზია ივ. გომართლისა | „ | 20 |
| ფშაური ლექსები | „ | 40 |
| ნაძირალნი, მაქ. გორკისა | „ | 25 |
| ბუნება და ცხოვრება, ი. ალხაზიშვილისა | „ | 60 |

აქვე ისყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები

მსურველთ დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით ფოსტით. თბილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე**

3—3

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრი და ცხოვრება
სათეატრო და ...

№ 32

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან Тифлисъ. Редакція „Театри да Цховреба“ Іос. Зах. Имедашвили

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს. და საღ. 6—7 ს.

ტელეფონი № 862

№ 32 კვირა, 15 აგვისტო 1910

**15 აგვისტო, 1910 წ.**

**სეზონის მოლოდინში.** თანამედროვე სამლოცველო სახლთა შორის თეატრს რომ უპირველესი ადგილი უკავია, რომ მხოლოდ იგია ადამიანის სულის კუნჭულთა უტყუარი სარკე და კაცობრიობის ზნეობრივ-გონებრივად წინწაწევის მთავარი ბერკეტი,—ამას მტკიცება აღარ ეჭირვება... თეატრმა კლასიკურ ქვეყნებიდან მოყოლებული დღევანდლამდე თითქმის მთელი დედამიწის ზურგზე თავისი სხივმფენი შუქი ძალუმად მიმოჰფინა...

კიდევ ვიტყვით, თუ თეატრს ასეთი მნიშვნელობა აქვს საზოგადოთ, განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ქართველებისთვის...

ქართული თეატრის მოღვაწე-მესვეურთ უკვე რავდენჯერმე მივუთითეთ სხვადასხვა დეფექტებზე და დღეს—სეზონის დაწყების წინ—კიდევ ერთხელ მოვაგონებთ, რომ დიდის დაკვირვებით და თავგამოდებით მოეკიდონ ნაკისრ მოვალეობას...

შეცდომით გადამდგარი ყოველი ნაბიჯი, წრესგასული თავქეიფობა, საკუთარი „მე“-ს გაბატონება, დაუდევრობა, ორგულობა,—ვინ არ იცის,—ძირს გამოუთხრის საქმეს...

წლევანდელი სეზონის დასი რჩეულ ძალთაგან არის შემდგარი, საუკეთესო რეჟისორები—ვ. ალ.-მესხიშვილი და ვ. შალიკაშვილი—არიან მოწვეულნი, გამგეობა შემდგარია უანგარო პირთაგან, მისი ხელმძღვანელი გამოცდილი კაცია სათეატრო საქმეში, სათეატრო დარბაზი შედარებით თავისუფალია და სხ.

ყველა ამის შემდეგ საზოგადოებას სრული უფლება აქვს, ქართულ თეატრს. ყოველ მხრივ საუცხოვოდ მოწყობილი წარმოდგენები მოსთხოვოს

რეპერტუარის შინაარსიანობასა და ნაირფერობაზე, პიესათა ენის გაფაქიზებასა და შემუშავებაზე, როლების შეგნებით დასწავლაზე, მსახიობთა ცალცალკე გაწრთვნასა და საურთიერთო შეთანხმებაზე და სხვ., ჩვენ აქ არას ვიტყვით: ეს ისეთი საგნებია, რომ მათ უცოდნელად ვერცერთი სეზონი ვერ იხეირებს, და გარდა ამისა, თეატრის მესვეურთ ეს ხომ ძვალ-რბილშიაც უნდა ჰქონდეთ გამჯდარი...

ჩვენის მხრივ, განახლებულ სეზონის მონაწილეთ ვუსურვებთ ხელოვნების სადიადოთ მუშაკობასა და საზოგადოების სასარგებლოდ უანგარო მოღვაწეობას...

## ღ ა მ ე ა...

ღამეა... მთვარე კავკასიის მთებს
გრძნეულ სხივებით უკოცნის კალთებს.
ნუ ილრუბლები, სულის სალარო,
გული არ სცხრება... გამისალკლდევდა;
რა გენაღვლება კოცნა მოგპარო,
რა გენაღვლება მოგპარო სევდა?
ეჰ, სულ ამაოდ ავკინძე მგონი
ცრემლის წიაღში ექვსი სტრიქონი...

**ი. გრიშაშვილი**

## ა ღ ს ა რ ე ბ ა

მლანძღეთ, მაგინეთ, რაც გინდათ ისა სთქვით ჩემზე!.. საქვეყნოდ ჭორი დამაყარეთ და მოხერხებული ცილისწამებით შეურაცხჰყავთ ჩემი საპირადო ღირსება! მე გავჩუმდები!.. სიტყვას არ შეგიბრუნებთ!.. მაგრამ იმასკი ვერ დაგითმობთ, რომ ჩემ სატრფოზე ცუდი სთქვათ!.. ის არის ჩემი ერთად ერთი სათაყვანო!.. ჩემი გულის-თქმა, ჩემი სულის-დგმა და მეც იმაში ვარ განხორციელებული.

3/95

— ხა! ხა! ხა! ხა!— მეტყვით დაცინვით —აი პოეტური აღმაფრენაო!.. მაგ შენ სათაყვანოს ჩვენცა ვხედავთ, მაგრამ შენსავით არ გვეჩვენება.?! ჩვენ ჩვენი მხედველობა გვაქვს!.. და ვინ არის ჩვენში მართალი? შენ ერთი, თუ ჩვენ, უმეტესობა? რა იცი რომ შემცდარი... მოტყუებული არა ხარო? — შეიძლება, რომ ვსტყუვდებოდე, მაგრამ გულ-წრფელობას ვერ მიკიჟინებთ!.. ეგება ჭეშმარიტება, მართლა, თქვენსკენ იყოს, მაგრამ მეც პილატესავით ვიტყვი: „რა არის ჭეშმარიტება?“

არის მაღლა ზეცა და. დაბლა—ქვეყანა თავთავისის ჭეშმარიტებით!. ორივე საგულისხმო, ორივე ძლიერი, მაგრამ ერთმანეთის ვერ მიმდგომი. ზეციურ ჭეშმარიტებას ახლავს გული ტ ქვეყნიურსკი—კუჭი, ხშირად გულის დამმონებელი. აქედან წარმოსდგება გრძნობის ორ-ჭოფობა და ადამიანის მოუსვენარობა და ვაი მას, ქვეყნიურს გაუდგება და ზეცას გაჰყვება!..

„იაკობის კიბეა“ ჩემ წინ ამართული. მე საფეხურთან ვდგევარ, ჩემი იდეალი კი ზედა საფეხურამდე არის მიწეული და იქიდან მეპოტინება, რომ მეც ამიყვანოს, ყოვლის შემძლებელმა.

—ხა! ხა! ხა!—მიკიჟინებთ— თუ ყოლიფრის შემძლებელია, შენ რაღ აგდიხარ ძირს მშიერი და შიშველ-ტიტველი? რატომ არ გეხმარება ეგ შენი ზეციური იდეალი, რომ ქვეყნიურზე ხელს იღებო?

— იმიტომ, რომ ჩემი იდეალი გულმა ჰშობა და სულის წმინდა ალმა გამოაბრძმედა!... შორს ჩემგან, ადამიანის გულის გამტეხო და გამხრწნელო სიმართლევ... ვაშა, ამამაღლებელო და აქვე ცხოვრების მომნიჭებელო „არა სიმართლევ“!... ვაშა, შენც ჩემო ზეციერო იდეალო!! თუ მე აქ ქვეყნად ვაგდივარ პატივ-ახდილი, ეს მიტომ, რომ შენ შემოგყურებს, მაღლით მოვლენილო, გრძნობა-გონება და მე, სუსტი ვინმე, შენი ჭირის სანაცვალო, კუბოს კარამდე მიგიტან!.. შენი სახელი, დედაკაცის სახელი-კი, მაგრამ იგივე საქართველო, ტუჩებზე დამაკვდება ისე წმინდათ, როგორც სიყვარული გულზე!...

და ეს იქნება მთელი ჩემი სიცოცხლის სამაგიერო, საუკუნო სიტკბოება!.. მშვიდობით!..

აკაკი

# ჩვენი სათეატრო მწერლობის სიღარიბე

საზოგადოთ თეატრი და ლიტერატურა რომ ცხოვრების სარკეა, ამას მტკიცება არ ესაჭიროება. ადამიანი სცენაზე იმას ხედავს და ლიტერატურაში მას კითხულობს, რაც ცხოვრებაში ხდება. საფრანგეთის ლიტერატურა და თეატრი უმთავრესად საფრანგეთის ცხოვრების სარკეა, რუსეთის თეატრი დი ლიტერატურა-კი რუსეთის ცხოვრებისა. ახლა ერთი ვიკითხოთ, ქართული თეატრი და ლიტერატურა არის-კი ქართველების ცხოვრების სარკე? ჩემის აზრით არც ქართული თეატრი და არც ლიტერატურა არ არის ქართველების ცხოვრების სარკე. ქართული თეატრი სხვა ერის ცხოვრებაზე უფრო მეტს გველაპარაკება, ვიდრე ქართველთა ცხოვრებაზე. აბა გადახედეთ ქართულ თეატრის რეპერტუარს, თუ იქ ნათარგმნი პიესებს მეტს არ იპოვით. იპოვით ცოტას ქართულ პიესებსაც, მაგრამ ხეირიანს-კი ძნელად. თუ არის ხეირიანი, ისიც წარსული ცხოვრების დამხატველია, თანამედროვე ხანას რომ გვიხატავდეს, ისეთი პიესებით ქართული დრამატიული მწერლობა ღარიბია. არა გვაქვს ქართველებს ერთი ისეთი პიესაც კი, სადაც ქართველთა ცხოვრების რომელიმე მხარე ნათლად იყოს დასურათებული, ან დღევანდელ ინტელიგნეციას თავისი გონებრივი ავლა-დიდებით გვიხატავდეს, ანუ სოფლის ცხოვრებას გვიხატავდეს ყოველ მხრივ. ვერ ვხედავთ აგრეთვე ქართველთა ცხოვრების სარკეში დღევანდელ გადაგვარებულ პედაგოგებს, მშობლებს და მოწაფეებს. ქართველთა ცხოვრების სარკეში არც ჩვენი ერის კეთილდღეობის შემბორკველი სჩანს. ერთი სიტყვით, ჩვენი დრამატიული მწერლობა ჩვენს ცხოვრების მთავარ მოტივებს მოკლებულია. ასეა ჩვენი ლიტერატურაც: ნაკლებათა გვაქვს ისეთი ბელეტრისტული ნაწარმოები, რომელიც თანამედროვე ხანაზე გველაპარაკებოდეს. პუბლიცისტიკა? ჩვენს პუბლიცისტებს უცხო ერის ცხოვრებაზე უფრო ემარჯვება მსჯელობა, ვიდრე ქართველი ერის ცხოვრებაზე. აიღეთ ქართული ჟურნალ-გაზეთები; იქ უცხო ერის ცხოვრებაზე გაცილებით მეტს მსჯელობენ, ვიდრე საკუთარ საქმეებზე. ამის შემდეგ რაღა გასაკვირველია, თუ ჩვენი ხალხი თეატრში ნაკლებ დაიარება, ლიტერატურას ნაკლებ ეტანება: ჟურნალ-გაზეთებსაც არ კითხულობს. თეატრსა და ლიტერატურაში მის სულსა და გულს არაფერი ხვდება, არაფერი ატოკებს. ჩემის აზრით, მიზეზიც ეს არის, რომ თეატრის საქმეები წინ ვერ მიდის და ლიტერატურაც დაეცა...

აქილესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბუნება

(ტურგენევიდან)

სიზმარი ვნახე: მოწყვეტილი ხილულ ქვეყანს,
ლაჟვარდ სივრცეში ნიავ-ტალღად დავსრიალებდი,
ფიქრად ვადნობდი სიცოცხლისა ბნელ გამოცანას,
მწარე ოცნებას ვარსკვლავთ კრებულს ვუზიარებდი.
კოშკი ვიხილე ცის ეთერში გამოსახული,
სხივ-გამჭვირვალე, ბროლ-ზურმუხტის კედლებიანი,
შიგ ქალი ვნახე, ტახტზე მჯდომი, უცხო ასული,
ცის-ფერ ტალღებში მოლივლივე, ფირუზ-თმიანი.
— ეს ტაძარია ბუნებისა, მისი აკვანი,
ეგ თვით ბუნება, ქალის სახედ ჩაფიქრებული,—
წამს გავიფიქრე, მოკრძალებით ვეცი თაყვანი,
მივუახლოვდი... სასოებით აძგერდა გული.
— სიცოცხლის დედავ! რა გიჩრდილებს სახეს ღვთიურსა
ცხოველ-სხივით მფეთქი საით ილტვის ფიქრი გრძნეული
კაცობრიობას თუ უმზადებ მნათობს ციურსა!
მისი მომავლის თუ გაფიქრებს გზა შორეული?..
ქალი შეირხა, უშფოთველად მომაპყრო თვალი,—
შიში ვიგრძენი ცივ სამარის, საშინელისა,—
კოშკში გაისმა ხმა მრისხანე, უგრძნობი, მშრალი,
რკინის ყდარუნის შესადარი, ხმა ქვესკნელისა:
— რწყილს ფეხის ძარღვი დაუსუსტდა, გახდა ულონო,
დაირღვა ძალთა ჰარმონია, ტოლთან ტოლობა,
საშუალება მას ბრძოლისა მსურს მოვუგონო,
შეტევ-თავდაცვის აღვადგინო თანასწორობა!..
— როგორ! შევსძახე განცვიფრებით ქვეყნის მპყრობელსა,
განა ივიწყებ ადამიანს, შენს პირმშო შვილსა,
და შენს განგებას მით იყენებ მიუწვდომელსა,
რომ ეხმარები უსუსურს და უაზრო რწყილსა?!.
— ყველა ქმნილებათ მზრუნველობა მე მაბარია,
ყველა ჩემ-მიერ გაჩენილი, ჩემი შვილია,
ყოველი არსი ჩემს წინაშე თანაბარია,
ადამიანი თუ უბრალო ჭია-მღილია.
— კაცობრიობა? ან სიმართლე, ჭეშმარიტება?!
— ეგ ყველაფერი მხოლოდ თქვენი მოგონილია...
წადი, ნუ მიშლი, თავს უფრთხილდი, დრო დაგიდგება
და შენც გაიგებ, თუ სიცოცხლე ვითარ ქმნილია!...
მსურდა გამეცა კვლავ პასუხი, მაგრამ მომესმა
შორით ქვითინი, მწარე კვნესა დედამიწისა,
ცამ იგრიალა, სივრცემ შთანთქა ულმობელი ხმა,
გაჰქრა ოცნების სანახავი, ფირუზი ცისა,..
გამომეღვიძა... ს. აბაშელი

---

## დასავლეთ ევროპის ლიტერატურა

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც". № 31)

### ხანა კაპიტალიზმის აღყვავებისა

#### I

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან წარმოების კაპიტალისტური სისტემა გამარჯვებით დაგვირგვინდა დასავლეთ ევროპის ყოველს კუთხეში. ამ ხანიდან, ზომბარტის სიტყვით, კაპიტალიზმი გახდა საერთაშორისო, ინტერნაციონალური. თუ კაპიტალიზმმა ახალ ყაიდაზე გარდაქმნა ყოველგვარი საზოგადოებრივი ურთი-ერთობა, იმავე დროს გაამდიდრა ლიტერატურა, მისცა ახალი საგულისხმო შინაარსი, შესძინა ახალი გულის-ნადები, ზრახვა, იდეანი და ხატებანი.

მანქანურ წარმოების განვითარებასთან ერთად სამეურნეო და კულტურულ მუშაობის ცენტრი ქალაქში გადავიდა. სოფელი ცალიერდებოდა, კვდებოდა.

ბელგიელმა პოეტმა ე. ვერჰარნმა თავის ლექსთა კრებულში „სოფელნი - მოჩვენებანი" მშვენიერად დაასურათა სულთმობრძავი გლეხობა. სევდით მოცულ ველზე აქა-იქ მოსჩანს უბადრუკი ქოხები; კარები ყველგან ღიაა. ყველგან სამარისებური სიჩუმე სუფევს. ისმის მხოლოდ შიმშილისაგან გამოფიტულ გლეხთა ჩივილ-კვნესა: „მიწა და ნათესი იღუპება. ვერ გვიშველის ვეღარც ლოცვა; ვეღარც ცრემლი. მდიდარი მოსავალი არასოდეს აღარ დააჯილდოებს მხვნელ-მთესვლის აუტანელ შრომას". გაშიშვლებულ მინდვრებზე აქა-იქ დაეხეტებიან მრისხანე, სახე-მოღუშულ აჩრდილებივით გლახაკნი—გუშინდელი მესაკუთრენი. და როდესაც ღონე-მიხდილნი სცვივიან რომელსამე ჰუჰყიან ორმოში, მათი თვალნი ალბექდავენ საშინელებას, უფრო უძიროს, ვინემ უძველესი ზღვაა. ბევრნი თავს ანებებენ მშობელ მინდვრებს. ამათ არაფერი უდევთ წინ, გარდა განიერ, დაუსრულებელ გზისა. მხარზე გადებულ თოხით მათ მიაქვთ თან „იმედთა გაცვეთილი საცვალი". მათი ხელები მათრახსავით ჩამოშვებულან და თითებს აღარ ძალუძსთ მუშტად შეიკუმშონ. აქ კი, ცის ტატნობზე მბრწყინავ გალიუცინაციასავით იწვევს მათ ბუმბერაზი ქალაქი. განქრა სოფელი. აღარ ისმის ზართა რეკა, წისქვილთა ხმაურობა. ცისკრის უკანასკნელ ამოსუნთქვასთან ერთად მოკვდა ველი. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირგვლივ ყოველივე შეიცვალა. იქ, სადაც წინად გაშენებულიყვენ სახლნი, ყვაოდენ ბაღჩანი და ხეხილნი, ახლა შავ ზოლად გადიჭიმენ ქარხანები. აქ, ამ ქარხანებში „მზეს მოშორებული, დღე და ღამე, განუწყვეტლივ მუშაობს ათასი უბედური მონა“. ქალაქმა მოკლა და გადასანსლა სოფელი.

გლეხთა დაღუპვა, ქალაქისა და წარმოების ზრდით გამოწვეული, აღწერილია აგრედვე ტენიათა მოტრფიალე ავსტრიელ როზეგგერის რომანში: „უკანასკნელი იაკობი“.

ტიროლის დაბა ალტენმოოზი, სადაც ერთ დროს გლეხთა კეთილდღეობა ყვაოდა, ნელ-ნელა სულსა ღაფავს. გლეხები ყიდიან თავის მიწა-წყალს და შორდებიან სამშობლო კუთხეს: ერთნი უცხო ქვეყანას აფარებენ თავს, მეორენი ქარხანას. მხოლოდ იაკობ შტეინრეიტერი არ შორდება თავის მამულს, თითქო ზედ დაეკროო. იგი სცდილობს შეაჩეროს თანამესოფლეთა გადაგვარება, მაგრამ ამაოდ! „თქვენ მშიშარანი ხართ, ეუბნება იგი გლეხებს პირში.— თქვენ თავს ანებებთ გლეხის შრომას, ვინაიდან იგი აუტანელია. მეზობლებო, ქვეყანას ბოლო ელება. ადამიანი ღალატობს ჯერ თავის სამშობლოს, წინაპართა და ოჯახს, შემდეგ ძველ ზნე-ჩვეულებათ, მოყვას-მეზობელს, ცოლსა და შვილებს. ვით მოგლეჯილს ფოთოლს, დაგარხევთ ქარი, ხოლო როგორც იგივე ფოთოლი, ისევე თქვენ არასოდეს აღარ აღყვავდებით.“ მაგრამ დროთა - ბრუნვა მოხუც იაკობზე ძლიერია. მიუხედავად მისი ენერგიისა, იკობის მეურნეობა თანდათან სუსტობს. თვით საკუთარი შვილები თავს ანებებენ იაკობს. მეზობელ მებატონის ფრინველნი მუსრს ავლებენ მის ნათესსა და ბოსტანს. იაკობი ვერ ჰპოებს სიმართლეს სასამართლოში, რომელიც ძლიერთა დამცველია. ესაა მიზეზი, რომ იაკობი მიჰმართავს ძალმომრეობას და ჰკლავს მებატონის ტყის მცველს. მაგრამ თვით იაკობიც ვერ უძლებს სინდისის მხილებასა და თავს იკლავს. „ღვთის კუთხედ“ წოდებულს ულრატყეშია მოთავსებული მისი საფლავი. ამ საფლავს მცირე წარწერა—ხოლო დიადი სოციალური დრამა—ამკობს: „აქ განისვენებს იაკობ შტეინრეიტერი, ალტენმოოზის უკანასკნელი გლეხი“.

კაპიტალიზმის კლანჭებით გატანჯულ სოფლის მსხვილ მესაკუთრესაგან განდევნილ მშრომელ გლეხის აუტანელი მდგომარეობა მშვენივრად აქვს აწერილი აგრეთვე გერმანელ მწერალს პოლენცსაც თავის რომანში „გლეხი კაცი“*).

როგორც გერმანელ გლეხთა უმრავლესობა, მოხუცი ბიუტნერიც გათანგული იყო ქალაქის მევახშეთაგან. ვალი იზრდებოდა, მეურნეობის გასაუმჯობესებლად ბიუტნერისმიერ ყოველივე ახლად შემოღებული საშუალება ვერა ხორციელდებოდა. «დიაღ- ოხრავს იგი—ძნელია, ძალიან ძნელია: ხშირად ისე გიხდება საქმე, მზათა ხარ შენივე თავი დააგირავო სარგებლის გადასახდელად. ცისმარე დღეს წელზე ფეხს ვიდგამ და დღე და ღამე ვმუშაობ დაუსვენებლივ, რიგიანად არც კი ვჭამ, რადგან ირგვლივ ნაკლებულებაა“. ბიუტნერი გადამეტებით სარგებლობს თავის შინაურთა შრომით; ხშირად შვილები ბუზღუნებენ, ხოლო მოხუცი ცოლი ჩივის, მგონი ქმარი გამომიცვალესო. ბიუტნერს არავითარი წარმოდგენა არ ქონდა კაპიტალზე, ერთის ხელიდან რომ მეორეს ხელში გადადის; არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა რკინის იმ კანონებზე, რომელთა წყალობითაც ერთი კლასი უნდა დაიღუპოს, ხოლო მეორე აღმაღლდეს, და მთელს თავის სიცოცხლეს გრძნობდა ბიუტნერი, რომ იგი გაკავებულია ვისიღაც ბრჭალებში. ყოველივე, რაც მის გარშემო ხდებოდა, „უწმინდურ სულის შეთქმულებათ“ მიაჩნდა. თითქო ზურგს უკან საშინელების მომგვრელი აჩრდილი ასტუზებიყოს, თითქო ვიღაც ალ-ქაჯი შესჯდომიყოს ზურგზე და გამოფიტებამდე ეწვალებინოს. თუმცა საკუთრება დიდი ხნის შემდეგ მისთვის სიხარული კი არა, სიმძიმე იყო, მაგრამ ბიუტნერი ძალზე შეეთვისა მას და არცა სურს თავი მიანებოს. როდესაც ურჩევენ მიწის გაყიდვასა დღ იჯარადრად გახდომას, იგი სანეხვეზე უთითებს და ამბობს: „აგერ, იქ მოვკვდები და მამულს-კი არ გავყიდიო“, შეძრწუნებული მოხუცი მუშტს მოიქნევდა ხოლმე, თუმცა არ იცოდა, ვის უნდა დამუქრებიყო. «ვინ იყო დამნაშავე, რომ მისი მუშაობა არა ფასდებოდა, ვინ იყო მისი მტერი, სად იყო ის ძალი, რომელიც საკუთრებას ხელიდან აცლიდა?“ და გონება-დაბნეული მო-

*) ეს რომანი ქართულად ნათარგმნი და გამოცემულია ივ. პოლუმორდვინოვის-მიერ, **რედ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუცი ერთი კუთხიდან მეორეს აწყდებოდა, სანამ თავი არ ჩამოიხრჩო ხეზე: სწორედ იმ მამულის პირისპირ, რომელიც ასე ძვირფასი იყო მისთვის და რომელმაც დაბოლოს დაახრჩო კიდეც.

მოიჯარადრის მატერიალური მდგომარეობა და ამ მდგომარეობის-მიერ შექმნილი ფსიხოლოგია სამაგალითოდ აქვს აღწერილი ფრანგ მწერალს გილიომენს თავის რომანში: «უბრალო კაცის ისტორია».

ბაბუა ტიენონი მხოლოდ სახელითაა თავისუფილი ადამიანი, ნამდვილად-კი ყმაზედ უარესია. თუ მებატონე, რომლის მიწას ტიენონი იჯარით იღებს, მონადირეა, ნადირობის დროს მუშაობა უნდა შესწყვიტოს; თუ მებატონე კონსერვატორია, ტიენონმა კონსერვატორს უნდა მისცეს ხმა; თუ მებატონე ღვთისმოსავია, ტიენონი ყოველ კვირა-დღეს ეკლესიაში უნდა იყოს; თუ მებატონეს შვილები ყავს, ტიენონის შვილები უნდა ეთამაშონ მათ, მოითმინონ ცემაც და ჟინიანობაც.

მოიჯარადრეს მატერიალური მდგომარეობა სახარბიელო არაა. იჯარით აღებული მამულში 25 წლის მუშაობის შემდეგაც ისეთივე გლახა მოიჯარადრეა, როგორც იყო მუშაობის დაწყებისას. ძალიან იშვიათად თუ მოაგროვებს მოიჯარადრე ცოტაოდენ ფულსა და იყიდის პაწია ადგილს რომელიც სწრაფად გამოეცლება ხოლმე ხელიდან. უფრო ხშირად იგი იძულებულია სამუშავო გარედ ეძიოს.

მოიჯარადრეს გონებრივი ჰორიზონტი არაა ფართე, და მისი ყოველდღიური ფილოსოფია პირველყოფილია. სიყვარული, მოიჯარადრის აზრით, მარტო ზოოლოგიური პროცესია, ხოლო ქორწინება მეურნეობის წინ წაწევის საშუალებაა. ტყის მცველის ქალზე იგი ვერც კი იოცნებებს, ვინაიდან ის აღემატება მოიჯარადრეს. პროლეტარ—მუშის ქალზე, და ისიც უკანონოდ დაბადებულზე, იგი ჯვარს არ დაიწერს, ვინაიდან ეს მისთვის, მოჯარადრესათვის, დამცირება იქნება.

მოიჯარადრეს სრულებით არ აგულისხმებს ქვეყნის პოლიტიკური საკითხები. მისთვის სულ ერთია, გინდა პავლე იყოს სახელმწიფოს სათავეში, გინდა პეტრე. მისი რელიგია შიშველა ანგარიშიანობაზეა დამყარებული. ის აღიარებს ღმერთს, მსოფლიო მართველს, და რადგანაც „მოგების" დიდი ნაწილი „მუშების ბატონპატრონის" ხელშია, —მოიჯარადრე ყველასფრით ცდილობს ღვთის გულის მოგებას. თუმცა მიწა მას არ ეკუთვნის, მაგრამ იგი მთელის არსებით შეეთვისა იმას. მოიჯარადრის ბედნიერებაა, როდესაც იგი ხედავს, თუ როგორ იზრდება **მისი** პური, როგორ ბიბინებს **მისი** ველი. თავის პატარა მამულში მეფედ მოაქვს თავი და ჰგონია, სიცოცხლე „მშვენიერიაო." მიუხედავად ამისა, იგი მაინც მარტოოდენ სახელითაა მესაკუთრე. მებატონეს ყოველ წუთს შეუძლია დაითხოვოს იგი. საგანთა ასეთი განწყობილების უსამართლობა მოიჯარადრის გონებაში უკმაყოფილებას იწვევს: ერთი ფლობს მთელს სოფელს; მეორე-კი მთელს თავის შრომას ყიდის და ძლივს თუ შოულობს რასმე თავის დასარჩენად. ეს ასეა, და იგი მაინც მოკრძალებით შესცქერის დამღუპველ კერძო საკუთრებას, ეწინააღმდეგება მიწის გაყოფვასაც და მის სოციალიზაციასაც. მოიჯარადრეს მეტი არ უნდა, ოღონდ ყოველი მოიჯარადრე ფაქტიური მფლობელი იყვეს მიწის იმ ნაჭერისა, რომელსაც იგი იჯარით იღებს. ეგეც არ იყოს, როგორ მიემხრობა იგი სოციალიზმს, როდესაც იგიც მესაკუთრეა და დაქირავებულ შრომით სარგებლობს. მესაკუთრეა მრისხანე და სუსხიანი. ხანდახან საიჯაროდ აღებული მამული მისთვის მტრის ბანაკია. „პირუტყვი ვერ აიტანს", ჩივის პროლეტარი-მუშა. „კატორგაში უკეთესი იქნება", —დასძენს დღიური მომუშავე.

როდესაც ბაბუა ტიენონმა მეურნეობა დაიწყო, პატრიარქალური ზნე-ჩვეულებანი მეფობდენ. ხოლო როდესაც დაბერებულ-დასუსტებულმა ხელიდან სახნისი გაუშვა, მშობელი მხარე გასაოცარის სისწრაფით სთელავდა კაპიტალიზმის გზას. იქ, სადაც წინად გაუვალი გზები იყო, ახლა ორთქლმავალები და ავტომობილები ხვნეშიან. ორთქლის სახნისმა და საცეხველმა ქიშპობით უკუ-აგდო ხელით მუშაობა: სოფლის მოიჯარადრეთა შორის ქიშპობა გაშმაგებული ხდება, იჯარის პირობები რთულდება, სოფლის მუშათა არმია იზრდება. სოფელში, სადაც მღვდელი ბატონობდა, ახლა სოციალისტ-აგიტატორის ვნებით აღსავსე ქადაგება ისმის. საიქიო ნეტარების სახარება დაჩრდილა საამქვეყნიო სამოთხის შესახებ ქადაგებამ...

**პეტრე დადვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი მომღერლები



დავით აკოფაშვილი

ხელოვნების ყოველ დარგს თავისი მესვეური ჰყავს. ხელოვნების ასაყვავებლათ აუცილებლათ საჭიროა ამ ხელოვნებისავე მოტრფიალე, გიჟურის თავდავიწყებით გატაცებული, ნორჩი ჭაბუკისავით შეყვარებული პიროვნება. თუ კი ეს ითქმის უცხოელ და რუსეთის ხელოვანთა შესახებ,—მით უფრო მეტი საფუძველი აქვს ჩვენს აზრს ჩვენი ხელოვნების შესახებ: ამ გვარ მოტრფიალეთა მთელი წყებაა საჭირო, რომ იგი ჩვეულებრივი, სრული არარაობის მომასწავებელი მდგომარეობიდან სწორე გზაზე გამოიყვანოს; რომ მას ფეხი აადგმევინოს და ღირსეული პატივი და სახელი მოუხვეჭოს ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენი ხელოვნების დღევანდელ მდგომარეობაში, გარწმუნებთ, სასაცილოც კი არის „რეფორმატორობა“-ზე ბაასი!

დავით აკოფაშვილი რეფორმატორი არ არის და არც მოეთხოვება მას რაიმე ახალი. ჩვენთვის იგი მით არის საინტერესო, რომ იგი შესტრფის, შეჰხარის, ეალერსება მუსიკასა და სიმღერას. ასეთი გრძნობა კი ახალგაზრდობასთან ერთად (იგი სულ 24 წლისაა) ყოველისფერის შემძლეა, ყველაფერს სძლევს და ბოლოს, დარწმუნებული ვართ, ლელოსაც გაიტანს.

„ჯერ კიდევ მეოთხე კლასში ვიყავი, როდესაც ერთ ზაფხულს ქ. კისლოვოდსკში ერთსა და იმავე საღამოს ბ. შ. სობინოვი და შალიაპინი ვნახე „ბორის გოდუნოვ“-ში. მე რა ვიცოდი მაშინ, თუ რას წარმოადგენდა ეს ორი გმირიდევი. მაგრამ ის კი აშკარა იყო, რომ მათ ძლიერი, მოუგერებელი შთაბეჭდილება დასტოვეს, და იმ წუთიდან ჩემს მიზანს ის-და შეადგენდა, რომ მეც მათსავით თავისუფლად მემღერა საზოგადოების წინაშე“,—ასეთია ჩემდამი მოწერილი მისი ბარათის ერთი გვერდი. და, როდესაც ადამიანი ბავშვობიდანვე მტკიცეთ დაისახავს მიზნად ერთს რასმე, როდესაც სათაყვანებელ კერპად მხოლოდ ეს მიზანი აქვს,—მაშინ ყოველ ეჭვს გარეშე, იგი შესძლებს კიდეც ახალი რამე შემატოს თავის საყვარელ საგანს.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ დავით აკოფაშვილი საუნივერსიტეტო მეცადინეობასთან ერთად მუსიკასაც ეწაფება; ეს უკვე არ არის ბავშური მოუფიქრებელი ნაბიჯი: არა! დ. აკოფაშვილი უკვე მოფიქრებით ეტანება სიმღერას, რომელშიაც ჩინებულ ხელმძღვანელობას უწევს ქ-ნი ჯ ი რ ა ლ დ ო ნ ი (დედა ცნობილის მომღერალის ჯ ი რ ა ლ დ ო ნ ი ს ა). 1906 წლიდან აკოფაშვილი მიემგზავრება მილანში და იქ სწავლობს ბ. კაზინის ხელმძღვანელობით, რომელთანაც, სხვათა შორის, დიდის მეყაითობით თავს სახელობდა აწ განსვენებული შაბაგულიშვილი. თვით მეთაური სკოლისა უკვე საკმარისი თავდებია, რომ მისი მოწაფე ფუქსავატი და ლაზღანდარა არ იქნებოდა: ამ სკოლამ ჩამოჰქნა, ჩამოაშალაშინა და გააძლიერა ჩვენი მომღერლის ხმა (ბ ა რ ი ტ ო ნ ი). და ცხრა თვის შემდეგ ახალგაზდა მომღერალი აკოფაშვილი უკვე ქ. პალერმოში „Teatro di Cita“-ს (თეატრო დიჩიტა) დირექციამ მიიწვია მუდმივ დასში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკოფაშვილმა არ ისარგებლა ამ შიწვევით: იგი პეტერბურგში უნდა დაბრუნებულიყო სწავლის დასამთავრებლათ. აი, ამ დროიდან იწყებს დ. აკოფაშვილი სხვადასხვა კონცერტებში მონაწილეობის მიღებას, ხოლო წელს იგი ოდესას ეწვია და რამდენიმე პასუხსაგებ კონცერტშიაც მიიღო მონაწილეობა. ამ სტრიქონების დამწერმა თვით მოისმინა დ. აკოფაშვილის სიმღერა. მშვენიერი ხმა, თანასწორ შეფარდებული, როგორც მაღალს, ისე დაბალ ფარდებში (რ ე გ ი ს ტ რ ი), კლასიკური დიქცია სიმღერის დროს (აუცილებელი ღირსება მომღერალისა), კეთილშობილური მღერა, — აი, თითქმის ყველა ღირსება ჩვენი თანამემამულე — მომღერლისა, თუ, რა თქმა უნდა, ამას გულწრფელ გრძნობასაც მივუმატებთ.

ყველა მუსიკოსი-კრიტიკოსი კარგს მომავალს უქადის დ. აკოფაშვილს. ჩვენთვის აქ ძნელია ყველა რეცენზიის მოყვანა: არც დრო, არც ადგილი ნებას არ გვაძლევს საამისოდ; ესეც არ იყოს, ეს არც კი შეადგენს ამ წერილის მიზანს. არ შეგვიძლია მხოლოდ უყურადღებოთ დავსტოვოთ პეტერბურგელ ავტორიტეტის, ცნობილი მომღერლის ი. პ. პრიანიშნიკოვის წერილიდან ერთი ადგილი:

„მშვენიერი სცენიური ბ ა რ ი ტ ო ნ ი აქვს დ. აკოფაშვილს. მაგრამ ამ ხმას კარგი დამუშავება უნდა, დიდი ხნის მეცადინეობა, რათა სრულად ჩამოსცილდეს მას ბუნებრივი ნაკლულევანებანი. კარგს და მუყაით შრომასთან ერთად ამისათვის ბევრი დროა საჭირო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დ. აკოფაშვილი თავის ნიჭის მეოხებით ჩინებული მომღერალი დადგება მომავალში, თუ კი, ვიმეორებთ, არ აჩქარდა და ერთი-ორი სეზონი განუწყვეტლივ ხმის გამალაშინებას მოანდომა“!!..

ეს სიტყვები მით უფრო საინტერესოა, რომ იგი ეკუთვნის ისეთ ადამიანს, რომელიც მეტად წინდახედულია და ფრთხილი თვისი განაჩენის გამოტანის დროს.

შრომა, შრომა და კიდევ შრომა! — აი, ჩვენი მეგობრული რჩევა. იმედს გამართლებაც ესაჭიროვება: ეს მოთხოვნა კი არ არის, არამედ გულწრფელი ჩვენი სურვილი. მოთხოვნა ჩვენ არ შეგვიძლია, რადგანაც თვით დ. აკოფაშვილიც კარგათ გრძნობს თავის მოვალეობას:

„თბილისში მხოლოდ მაშინ ვიმღერებ, როდესაც საკმაო ძალასა და უნარს ვიგრძნობ, როდესაც უმთავრეს ნაკლულევანებებს მოვიცილებ თავიდან: მე არა მსურს საზოგადოებას იმედი გავუცრუვო მით უმეტეს, რომ კარგადა ვგრძნობ, თუ რაოდენად მძიმეა ახალგაზრდა მომღერლის, და ისიც ჩვენებური მომღერლის, მოვალეობა...“

აი, მისი პასუხი ჩვენს საყვედურზე, რატომ თბილიში არ იმღერებ ერთხელ მაინც, როდესაც ქუთაისის საზოგადოება საკმაოდ გიცნობს-მეთქი?!...

ქ. ოდესა **პავლე დადვაძე**

# ოთხი ხე

(ვუძღვნი ლადოს, ტოშიას და შალიკოს)

## I

ტყე ხეებით იყო სავსე. მაგრამ ის ოთხი სრულიად განცალკევებულად იზრდებოდა ერთ კუთხეში, თითქოს მათაც საკუთარი ფარგალი ქონოდეთ.

დანარჩენებიდან ძალიან განსხვავდებოდნენ, ერთმანეთისაგან-კი არა.

ოთხივე ერთ არსებას შეადგენდა.

ეს განსაკუთრებული თვისება მათ თავიდანვე დაჰყვა.

თითქოს ვიღაც უცნობს განგებ ჩაეფლო მიწაში ოთხი, სავსებით ერთნაირი, საღი თესლი.

ოთხივემ იხარა. ამოვიდა ოთხი ნორჩი, ლუტუ ხე.

პატარაობისას ერთად იფურჩქნებოდნენ და ერთად სცვივდებოდათ გაყვითლებული ფოთლები

ქარის დროს ერთ მხარეს ხრიდნენ თავს, თითქოს ყველას ერთი ღვთაება სწამდა.

თოვლს, წვიმას, ყინვას და სუსხს ოთხივე ერთნაირად გრძნობდა და იტანდა.

ასეთი იყვნენ პატარაობისას.

წამოიზარდნენ... ტოტები და ფესვები დაუმრავლდათ და დაუმსხვილდათ.

თითქოს ახლა შეიცნეს წარსული ერთობის სწორი აზრი, თითქოს ახლა უფრო ღრმად, უფრო მომწიფებულათ შეუყვარდათ ერთმანეთი... ტოტები მძლავრად გადაახლართეს, ფესვები გადააბეს და გაშმაგებით ჩაკოცნეს ერთმანეთი.

მათი შემყურე ლაჟვარდი ცა დღისით ლურჯი ზურმუხტით იკაზმებოდა, ღამით კაშკაშა ვარსკვლავებით იჭედებოდა...

... უყვარდა და ნეტარებდა...

... და ამოვარდა ერთხელ ქარიშხალი. მოსტყდა ერთ ოთხთაგანს ტოტი და სუსხმა დაუწყო ხეს ხმობა.

მძიმე ოხვრით ჩაჰკიდა მან თავი და, თვალცრემლიანმა სიკვდილს ლოდინი დაუწყო.

სამივე ხემ მოხვეჭეს ყველა ტოტები, მაგრა მიეკრნენ გაყინულ გულზედ ავადმყოფ ძმობილს.

კვალად მორჩა, გაცოცხლდა ხე და რომ ის გულნატკენი და განსხვავებული არ დარჩენილიყო თანამოძმეთგან, უკანასკნელთ მიიმტვრიეს თითო ზრდილი ტოტი.

ასე უყვარდათ ერთმანეთი...

ისევ ერთმანეთს დაემსგავსნენ და ვერავინ გაარ-

ჩევდა მათ. ოთხივენი ერთ სულოვან არსებას წარმოადგენდენ და ეგონათ, არა იყო რა ისეთი, რითაც ოდნავათ მაინც განსხვავდებოდენ ერთმანეთისაგან.

მაგრამ...

. . . . . . . . . . . . . . .

II

ჩუმის ღიღინით ტყეში გლეხმა ჩაიარა.

წელში ბასრი ცული გაერჭო და გულგრილად მოსაჭრელ ხეს ათვალთვალებდა. უნდოდა შესაფერის ჰოვნა.

მიუახლოვდა ამ ოთხ ხესაც.

ცახცახი აუტყდათ, მაგრამ თვითეულს თავის გარდა, დანარჩენი სამიც მოაგონდა და შეიბრალა.

გლეხმა მშვიდობიანად ჩაიარა.

წავიდა, მაგრამ გული თვითეულს მძიმედ უტოკავდა; ეშინოდა, რომ გლეხი უკან დაბრუნდებოდა და. . . . . . . . . . . .

— „თქვენ რა გიშავთ, იხარეთ.., მე კი უეჭველად მომიჭრის ძირს"... ღუღღუღებდა ერთი.

— „თქვენ რა გიშავთ, იზარდეთ, ხოლო მე კი"... ბუტბუტებდა მეორე... და ასე მესამე და მეოთხე.

გული აუჩვილდათ... ცრემლები მოადგათ და, მწარე ოხვრით, თვითეულმა დასძინა:—„რათა? რათ უნდა მოვკდე? მე მინდა სიყვარული"...

— „მე... მე მინდა მზის სხივები და ტკბილი საზრდო"...

— „მე მინდა მშვენიერება და ბუნების სინაზე"...

— „მე მინდა ჯანმრთელობა და ბრძოლა"...

. . . . . . . . . . . . . . .

„მე არ მინდა სიკვდილი... ღმერთო! გამიგონე"...

— „არც მე"...

— „არც მე"...

— „ღმერთო! არც მე"...

. . . . . . . . . . . . . . .

ღმერთი მაღლობზედ იჯდა, ძლიერების ტახტზე და ისმენდა.

მას არ უნდოდა ხეების სიკვდილი და სწყუროდა მათ ჭეშმარიტება ამოეხსნათ, რომ მისთვის ელოცნათ.

მაგრამ ხეები იმასავე გაიძახოდენ:

— მე სიყვარული მინდა"...

— მე ტკბილი საზრდო"...

— მე ჯანმრთელობა-ბრძოლა"... და სხვა...

ვერ გამოიცნეს სრული ჭეშმარიტება... ცალ-მხრივი იყვენ, არ მიიღეს სავსებითად ღვთის ნაბოძები და ღმერთმა დასაჯა ისინი...

გლეხი უკან მობრუნდა და სათითაოდ მოსჭრა: ერთი, ორი, სამი და...

ამ დროს მეოთხემ გამოიცნო სიცოცხლის მთლიანი აზრი, სრული ჭეშმარიტება და შესძახა ზეცის მპყრობელს:

— „ნუ დასჯი... მე მიყვარს და მინდა ცხოვრება, სრული ცხოვრება, მთლად რაც შენ მაჩუქე და არა ერთი მისი ნაწილი...

... და ღმერთმა აპატია ის.

III

განვლო დრომ... ერთი ცოცხალი ხე ობლად იდგა ტიტველ ველზე. მოვიდა ზამთარი და მოაგონდა ის ძლიერი ქარიშხალი, როცა მას მოსტყდა დიდი ტოტი, როცა ის ძმობილებმა შეიბრალეს და სიკვდილისაგან დაიცვეს...

... და დაღვარა ცრემლები...

მთელი ღამე ობლად იოხა და იტირა, დადნა თოვლი, ხოლო გათენებისას ამაყად ასწია ზევით თავი და შესჩივლა ღმერთს: „ზეციერო, შენ სამართალი არა გქონია... ჩემს საყვარელს ძმებს სიცოცხლე მოუსპე და მე კი სამუდამოდ მომიწამლე. მთელი შენი ცხოვრება უაზრობით არის სავსე... შენ ობლობა შექმენ"...

და გარისხდა ზეცა... უწყინა უფალმა და ძირზე გახმო ხე იგი...

. . . . . . . . . . . . .

IV

გამხმარი ხე ობლად სდგას ტიტველ ველზე.

აკაკი პაპავა

# მიმიკა

II

## პლასტიკა

### ვარჯიშობა პლასტიკის მისაღწევად

მოქმედების ენაში, ე. ი. მიმიკაში, არც ერთი ნაწილი სხეულისა არ უნდა იყოს უმოძრავო.

საკმარისი არ არის ჟესტების კეთება და სახის გამომეტყველობა; მიმიკით შთაბეჭდილების მოსახდენად, ისე რომ იგი იყოს სრული, საჭიროა მთელი სხეული მონაწილეობდეს მოქმედებაში. ჩვენი ორგანოს ჰარმონიულ მონაწილეობაზეა დამოკიდებული ძალა და სინამდვილე მიმიკის.

მსახიობი უნდა იყოს, მაშასადამე, მოხდენილი, მარჯვე, ადვილად და თავისუფლად უნდა ამოძრავებდეს თავის სხეულის ყოველსავე ასოს. ამასთანავე დარწმუნებული უნდა იყოს თავის თანასწორობისა: ვინაიდან, როგორც შემდეგში ვნახავთ, მოქმედება და მდგომარეობა რომ მოხდენილი და ლამაზი იყოს, საჭიროა მთელი ტანის სიმძიმე ერთს ფეხზე დამყარებული, რათა მეორე სრულიად თავისუფალი იყოს.

საუკეთესო საშუალება ამ ღირსების შესაძენად — სწავლაა ცეკვის პირველი ვარჯიშობისა, როგორც, მაგ., ფეხის ქუსლის აწევა (ფიგურა 1),

ფეხის აწევა ნახევარ სიმაღლეზე (ფიგ. 2),



ფიგ. 1



ფიგ. 2

განწყობის მორგვალება (ფიგ. 3), ფეხები ხუთ მდგომარეობაში (ფიგ. 4),



ფიგ. 3



ფიგ. 4

და ყოველივე გიმნასტიკური ვარჯიშობა.

ასე უნდა ივარჯიშოთ მუდამ დღე, 15 წუთის განმავლობაში, მაშინაც-კი, როდესაც თქვენ უკვე სთამაშობთ სცენაზე, ითვლებით მსახიობათ. ამისთანა ვარჯიშობით შეიგნებთ ყველა ზემო ნათქვამ ღირსებებს და სამუდამოდ შეგრჩებათ. აგრეთვე იცოდეთ, რომ ეს ვარჯიშობა ჯანმრთელობისთვისაც ძალიან კარგია და სასარგებლო. არ გადააჭარბოთ, თხუთმეტი წუთი დღეში საკმარისია. ასე ივარჯიშეთ დაწოლის წინ, რომ ლოგინში დამე თქვენმა სხეულმა შეისვენოს. შეგიძლიანთ დღითაც, როცა ადგებით, სულ ერთია, როგორც გენებოთ.

ცეკვის მასწავლებელი ორ-სამ გაკვეთილში გაჩვენებთ ამ ვარჯიშობას, მაშასადამე ჩვენ ამის აღწერას არ შევუდგებით. საკმარისია, რომ მე ამ ვარჯიშობას სულით და გულით გირჩევთ.

საჭიროც რომ არ იყოს ცეკვა,—თუ სურვილი და დრო ნებას გაძლევთ, კარგი იქნება ისწავლოთ --საჭიროა შეიძინოთ თანასწორობა, და ჰარმონია მოქმედებებისა. ასეთი ვარჯიშობა პირველ ხანებში ფეხებსა და კანჭებს აგიტკივებთ, მაგრამ ეს უბრალო, უმნიშვნელო ტკივილი მალე გაგივლით.

(ბრიუსელი) **გიორგი ჯაბადარი**

## ხონის სეზონი

სადაც ხალისი, სიყვაუული და შეთანხმებული მუშაობაა,—იქ დაწყებული საქმეც ყოველთვის კეთილს ნაყოფს გამოიღებს. ამ აზრს გვათქმევინებს დაბა ხონის ახალგაზდობა, რომელმაც ორი-სამი წლის წინად მოჰკიდა ხელი წარმოდგენების მართვის და წელს სამაგალითო სეზონი შეჰქმნა. როგორც მოთეატრე ხალხი, ხონელები დიდიხნიდანვე არიან ცნობილნი: ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი აფიშა*), რომლიდანაც ვტყობილებთ, რომ ხონში წულუკიძეთა გვარს 1865 წ. საქველმოქმედო მიზნით წარმოუდგენია დ. ერისთავის „გაყრა“. დღესაც ხონელები ბეჯითობას იჩენენ სათეატრო საქმეში.

წელს საქმეს აწარმოებდა ადგილობრივი გამგეობა. დასში ჯამაგირით მოწვეული იყვენ მსახიობნი: ნატო ჯავახიშვილი, თამ. გოგოლაშვილი, ვალ. შალიკაშვილი (რეჟისორად), ნ. გვარაძე (თანაშემწედ) და გ. გურული (სუფლ.).

სცენის მოყვარენი: ქალნი --ე. ჩხეიძე, ნ. რატიანი, მ. არხიპოვისა, ნ. წულუკიძე, ლ. ლოლობერიძე, მ. ლოლობერიძე, ა. ჰავჰანიძე, ვ. ბახტაძე, კ. ქუთათელაძე, მ. ქუთათელაძე; ვაჟნი—შ. გოგოლაშვილი, ი. რუხაძე, ე. კეჟერაძე, მ. რატიანი, ა. ქუთათელაძე, ი. ჰავჰანიძე, შ. რატიანი, რატიანი, ნ. ნადარეიშვილი, დ. მებუკე.

სეზონი დაიწყო 20 თიბათვეს „სამშობლო“-თი, გათავდა 15 მარიამობისთვეს. სეზონის განმავლობაში გაიმართა 12 წარმოდგენა. დაიდგა: „ხალხი“, „ისმინე ისრაილ“, „სიძე-სიმამრი“, „მეგობრობა“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „გაზაფხულის ნიალვარი“, „ექიმი შტოკმანი“, „ფული და ხარისხი“, „დამნაშავეა?!“, „პირველი მერცხალი“, „ქოჩრიანი ტოროლა“ და სხვა.

შემოსავალი ორთა შუა რიცხვით უდრიდა 50 მან., სულ 600 მან. ესწრებოდა განსაკუთრებით ინტელიგენცია, გარეშე სოფლებიდანაც კი მოდიოდენ გლეხები, ადგილობრივი ვაჭრები ძლიერ ნაკლებად ესწრებოდენ.

**თვალყურა**

---

(* ამ აფიშას მომავალ ნომერში დავბეჭდავთ.
**რედაქცია**

## ბენეფისი თამარა გოგოლაშვილისა ხონში



დღეს 15 აგვ. ხონის თეატრში გაიმართება ახალგაზდა მსახიობის ქ. თ. გოგოლაშვილის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება „ქოჩრიანი ტოროლა" დრ. 4 მოქ. მობენეფისე შეასრულებს ლენას როლს. ქ. გოგოლაშვილი წელს მიიწვიეს ხონის თეატრში, საქმის მოყვარე მსახიობის ხელოვნური თამაშით ხონის საზოგადოება ყოველთვის კმაყოფილი რჩებოდა და ამ მცირე ხნის განმავლობაში ხონის სცენაზე საზოგადოების დიდი პატივისცემა დაიმსახურა. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ. რომ ქ. გოგოლაშვილს საზოგადოება პატივს სცემს ბენეფისზე დასწრებით, და ერთხელ კიდევ დასტკბება უკანასკნელათ ამ სეზონში მისი ხელოვნური თამაშით.

**პლებ - ი**

## ელეგია

(ვუძღვნი ვ.—ა. კურცხალიას)

ნუ გამშორდები დაე ვიწვოდე
შენი თვალების ჯადო—გზნებითა!
შენ დაუბრუნე გულსა ედემი
წარსულთა დღეთა მოგონებითა!

* *
*

გაჰქრა... წავიდა ტკბილი სიზმარი
იმ ნეტარ ჟამის-ჟამისა შვების!
და ჩემი გული, ვნებით მგზნებარე,
აწ სავანეა ტანჯვის, გოდების!...

* *
*

დასწყდა სიმები შვების ჩანგურსა...
არეს აკვნესებს წყვდიადი... ბნელი!
ნურც მე მომიძღვნი ვარდისა კონას,—
თორემ თვალთაგან მომსკდება ცრემლი!

**ვ. გორგაძე**

## გურული სცენა

(მათეს ნაამბობი)

ჩემდა რომ კაცს ეკითხა, ძმიავ, მეთოხე კაცზედ უბედური დუნიაზედ არა კაცი მეგონა, მარა, აი არტისტობა, მე რომ ვხედავ, ამისანაი თუა —ღმერთმა შეინახოს. დედავ, გევიხედე და ამ წახანოებში ლანჩხუთს ჩამობრიგინდა პოეზი და ჩამოყვენ ვინცხა სტუმბიერო კაცსავით წვერ-ულვაშ მოხვინტილებული ბიჭები. შეიქმნა ფაჩა-ფუჩი — ქუთაისის არტისტებიაო. ვთქვი, ნენაის ნამგზითი კარდალაი რომ დავაწინდრო, აგენის წარმოდგენას კი დევესწრები მეთქი. გევიხედე, გამოაჭრელეს ქაღალდები: ამ და ამ დღეს ასე გვაქო. გევიჩოთქე, გამევეჩოთქე და გამევიპრანჭე წინა სკამზე. დედავ, წარმოადგინეს მარა რა წარმოადგინეს: რომელი შენ კამენდიადა ცირკია იგი კი არა და გულში გამიჩხიკინა, ცამპირი რომ გამიღოს და ვინცხამ ჩემდა ერთი ციცაი გეიმეტოს და შვილი მეყოლოს, აგენს გავაყოლებ შეკირდათ მეთქი. მარა რავა გინდა შენ, ამ დროში ყოლიფერი დარან გარებულია ჭო, აგერ გეტყვი, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ერთს საღამოს აქედან, იქიდან მივიყარეთ, მევიყარეთ თავი, ბილეთებიც ქიგეიგივქენით ჭაი და ჭა, აწი დეიწყებს საანცო ამბვები მეთქი და შლეჭა მოადინეს შით დაშიშმაგებულმა სტრაჟნიკებმა. რაი და პრისტავ ნედაზვალიაიო. დედავ, ქე დაგვირჩა ყველაყას ხარხა დაფჩენილი. იმ სცოდვავებსაც გადიედვენ კი ნაწლაის ფერი. რას იზამ, თუ ქენი ბრიყული და არ დუჟჯერე, ცერ-ნეკი ვითამ არ გქონებია. არა, აგი კიდოვ თუ ზაკონია ვინცხა ფირალებს იგენმა წუტკაჩირეს, მაგიორი აგენს წუუგვახუნეს. ახლა ბლანვალაი შესდგომიან და ასადნი პალაჟენიე შემოიღო, აგიც ხომ ერთობის კრება არაა. ამას აგენი თურმე პომპოლიკებთან არდგენენ. აგენმაც მოშპენ ნაჩალნიკთან, იგი თურმე, რავარც იგენმა თქვეს, უმფრო აბრაზოვანიაო და «ნიჩევო» უთხრა და ნებაც ქე მისცა, მარა აქამდი ხანი ხანში გაშპა და აქანაი აგი რაცხა გენის ცეხლათ მოხლაფორთებული ნავალები ფიცრების როხილაი ტრიატი ქონდენ, ქე დეაწოწილაქა მევალეებმა. შეირბინა აგენმა ენა წამოგდებული ფუნგათ და ხვთათ ყოლიფერი. ჭო და ახლა რადაი დარჩენოდეთ, აბა რა უნდა ქნან ვალი-ვალია ხარჯი-ხარჯია. ვინცხა სეზონიაო, თურმე იგი დალოცვილი ზამთრამდი ტყუილათაი ყურწ მოტეხილ, კაპეიკს არ მისცემს ელთი კაკალს ყურყუტობენ და ქე არიან! არა, აგი გენიის თანვარაბი ქვეყნიზა კას შობიან თურმე, მარა თავიზა კი უბედური ყოფილარიან და მეც ამიზა ვთქვი, თუ გინდა გამამტყუნე: არტისტობას სამ-ოყიანი თოხის ბაზუნი ჯობნებია-მეთქი.

**შხანკოლა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ი მ ღ ე რ ა

(ვუძღვნი ჩაგრულთ მგოსნებს)

ოდეს მტარვალი გლოვის ჰიმნს გვიმღერს,
გლოვის ჰიმნს გვიმღერს და გვემუქრება,
თან დაუნდობლათ მახვილსა გვილესს,
სიკვდილს ამეფებს, სიცოცხლე ჰქრება,
მაშინ ავტეხოთ, მაშინ ყიჟინი,
გავიასკეცოთ ბრძოლისა ჟინი!

—

ოდეს გაისმის ქვითინი მწარე,
ჩაგრულთ გულიდან ამონაკვნესი,
განსაცდელშია სამშობლო მხარე,
სისხლში ნაცური, ცრემლში ნალესი,
ჰე მაშინ შევთხზათ ჰიმნი ახალი,
მით გავამხნევოთ მოძმე საწყალი!

—

ოდეს ღრუბელი მზეს ეფარება
და იკუპრება ცის დასავალი,
სერზე მობობლავს, მოიპარება
სატანა შავი, სატანა მყრალი,
მაშინ სიმთ გავკრათ... სხივი ვაშუქოთ.
ბნელეთის მეფეს გული გავუპოთ!

—

ოდეს გვეწვევა ფიქრი საზარი,
კვდება აკორდი... ჩანგი დუნდება,
სულის დამტყვევი, ვით ცისკრის ზარი,
სევდის სიმღერა შორიდან გვწვდება,
მაშინ, ჰე, მაშინ მოვმართოდ სიმნი,
ერთად დავმღეროთ ბრძოლისა ჰიმნი!

**ნ. ჩხიკვაძე**

# სათეატრო ამბები

## ადგილობრივი

**ქართ. დრამ. დასი** დღეიდან იწყებს მეცადინეობას. თითქმის ყველა მსახიობი ჩამოვიდა.

**დრამ. გამგეობისა და მოწვეულ პირთა**—ისტორიკოს-მწერალთა კრება მოხდა გასულ კვირას. კრებას წარედგინა ახალ დეკორაციების ნიმუშები და სხ. ნივთები, რომლებიც მოწონებულ იქმნა.

**ახალგაზრდა მწიგნობარმა** ვ. მალაქიაშვილმა რუსულიდან გადმოაკეთა ა. შვარცის პიესა „ყ ო ფ ა ქ ც ე ვ ი ს ნ ი შ ა ნ ი“, ტრ. 4 მ. მოწაფის ცხოვრებიდან. პიესა სკოლის საკითხს შეეხება, წარმოდგენილ იქმნება ვლ. ალ.-მესხიშვილის რეჟისორობით.

**წლევანდელ სეზონში** წარმოდგენილი იქმნება ნ. შიუკაშვილის პიესა „გამხმარი ფოთოლი“.

**ნამესტნიკის კანცელარიამ ნება დართო** ვ. მალაქიაშვილის პიესის „ლევან ბელტაძე“-ს (ქეშტი ბურჟუაძეს) წარმოდგენისა.

**ქუთათური მსახიობნი** 21—22 აგვ. ხონში წარმოდგენებს აპირებენ.

**ბაქოს ქართულ სცენის მოყვარეთა** წრე მომავალ სეზონში ოპერეტების დადგმას აპირებს.

**ბაქოს ქართველობა** დიდის ამბით ემზადება წელს „ქართული საღამოს“ (მეოცეა) გამართვას.

**ტრ. რამიშვილის პიესა** „საბედისწერო დამბაჩა“ რუსულად გადათარგმნა გ. ახალციხელმა. მანვე გადათარგმნა ამავე ავტორის „შეშლილნი“.

**ნ. დავითაშვილმა** თბილ. ქართ. დრამ. გამგეობასთან მოაწერა ხელი ხელშეკრულებას. ნ. დავითაშვილი პირველ როლებზეა მოწვეული.

**ქართულ დრამატიულ მუდმივ დასში** ჯერ-ჯერობით ირიცხებიან ქ ა ლ ნ ი: ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ა. ლოლუა, მ. მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი. პ. შოთაძე. ვ ა ჟ ნ ი:—ვლ. ალ.-მესხიშვილი (რეჟისორი), ბ. ბეგლარიძე, (სუფლიორი), ზ. ბერიშვილი (სცენარიუსი), ვ. გუნია (ადმინისტრატორი), ი. გრიშაშვილი (სუფლიორი), ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, გ. იმხნელი, ვ. მატარაძე, დ. მგალობლიშვილი, ბ. მდივანი, კ. მესხი, ვ. შალიკაშვილი (რეჟისორი).

დ რ ო გ ა მ ო შ ვ ე ბ ი თ მოწვეული იქმნებიან ის მსახიობნიც, რომელნიც კერძო სამსახურში არიან: ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი და კ. შათირიშვილი. ს ა გ ა ს ტ რ ო ლ ო დ მოწვევულ იქმნებიან ნ, გაბუნია-ცაგარლისა, ა. ჩირგაძე და ნ. ჩხეიძე.

დასში მონაწილეობა'ს მიიღებენ აგრეთვე თანამშრომელნი—ქალნი და ვაჟნი.

**ნ. მ. გაბუნია ცაგარლისა** მძიმე ავად გახდა.

**ვალ. გუნია სთარგმნის** ახალ პიესებს: 1 „ტაიფუნს“—იაპონელთა ცხოვრებიდან და 2 „მირრა ეფროსს“ გარდინისას.

**სურამის დრამ. საზოგადოების** კრება მოხდება 22 აგვ, ანგარიშების და სათეატრო კითხვათა განსახილველად. სასურველია კრებას ყველა წევრი დაესწროს,

## რ უ ს ე თ ი

**სასახლის მინისტრმა** აუწყა საიმპერატორო თეატრთა გამგეობას, სკოლები განაახლეთო. საბალეტო სკოლებში წრეულსვე მიიღებიან მოწაფენი, ხოლო დრამატიულში—მომავალ წელს.

**შალიაპინი ზომას გადასცდა.** ამ არტისტმა ნიჟეგოროდის იარმარკაზე სამღერლად ანტრეპრენიორს თითო გამოსვლისა მოსთხოვა... ოთხასი თუმანი. რასაკვირველია, ანტრეპრენიორი დაფრთხა და შალიაპინიც აღარ იმღერებს ნიჟეგოროდში.

**ტამბოვის გუბერნატორმა აკრძალა** კინემატოგრაფებსა და საზაფხულო ბაღებში სურათების—„ლ. ნ. ტოლსტოი იასნია პოლიანაში“-ის ჩვენება.

**ძლიერ ავად გამხდარა სტანისლავსკი**, მოსკოვის სამხატ. თეატრის რეჟისორი, რომელიც ამ ჟა-

მად კისლოვოდსკში. მის მოსავლელად მოსკოვიდან გაემგზავრენ მსახიობიქალნი მურათოვისა და ლილინისა.

**პეტერბურგის ებრაელთა** სალიტერატურო საზ-ბის სექციას სესტროორეცკში ისპრავნიკმა აუკრძალა ებრაულ წარმოდგენის გამართვა.

**სამხატვრო თეატრის დაფუძნებას** ფიქრობენ პეტერბურგში ისე, როგორც მოსკოვშია. ამ მიზნით უკვე შესდგა ჯგუფი ფულანდარ-მეცენატთა.

**სოკოსავით მრავლდება** თეატრები პეტერბურგის გარშემო, ჯერ-ჯერობით 75 საზაფხულო თეატრია. თითო თეატრზე 20 კაცი რომ ვიანგარიშოთ, მთელი პოლკი—1500 კაცია საჭირო ამ თეატრებში სამუშაოდ. მერე როგორი მსახიობნი არიან!—უსაქმური „მოყვარენი", თავისებური „არტისტები", რომელნიც ცდილობენ ყველას მისცენ, ავტორს-კი... არაფერი.

— პარიკმახერს აძლევთ? ეკითხება დრამ. საზ. აგენტი სტუდენტ—სცენისმოყვარეს.

— როგორ არა, ვაძლევთ! განა ჩვენ გაიძვერები ვართ?!. უპასუხებს შეურაცხყობილივით.

— მელამფეს? მეტანისამოსეს? აფიშის დამბეჭდს?.. მაშ რატომ ავტორს-კი არას აძლევთ?!.

— !?!?!

**ახალ დრამატიულ სკოლას** აფუძნებენ მოსკოვში კ. ვ. ბრავიჩი, თ. თ. კომისარჟევსკი და პ. მ. იარცევი. სკოლის მიზანი არტისტიულ ინდივიდუალობის განვითარებაა; მოწაფეთა რიცხვი განსაზღვრულია. მეცადინეობას დაიწყებენ 1 ენკენისთვიდან. ცნობათა შეტყობა შეიძლება Криво-Арбатскій пер., д. Желябунскаго, кв. 12.

**ხად. ბელოოსტოკზე დატუსაღებულ იქმნა** ეპისკოპოსი მიხეილი, რომელსაც ბრალი ედება სისხლის დებულებათა 73 მუხ. ძალით ბუელიეს პიესის „მ ე ფ ე უ გ ვ ი რ გ ვ ი ნ ო თ"-ის რედაქციისა და გამოცემის გამო. გამოკითხვის შემდეგ გაანთავისუფლეს 400 მან. თავდებობით.

**კურსკში დაიწვა** თეატრი ტანისამოსებითურ. დასი გაჭირვებაშია

## უცხოეთი

**საფრანგეთის დრამატურგთა საზ-ბამ** შეიწყნარა ვინმე მორტენის წინადადება—რუსეთის ცენზურას შინაურის მოლაპარაკებით განკარგულება მოვახდენინოთ, რომ ჩვენს ნება-დაურთველად რუსეთის სცენებზე აღარ დასდგან ხოლმე ფრანგ ავტორთა პიესებიო. მთელი რადიკალური პრესა აღელვებულია ავტორთა უფლებათ ამგვარი დაცვით.

**რუს მოცეკვავეთა** ფაიფურის ადრინტები შეამზადეს პარიზში.

**ახალი პიესები დასწერეს** ედმონდ როსტანმა,—„როლან რონსესლაველი" და ანრი ბატაილმა—„სიყვარულის ბავშვი".

**ბერლინში გამოვიდა** მ. გორკის ორი ახალი პიესა: პირველი „ფარსი", მეორე—„საოცარი ხალხი", 4 მოქ-ნი დრამა, რუსეთის საზოგადოების ცხოვრებიდან, რევოლიუციის შემდეგ.

**უზომო გაჭირვებაშია** თურმე, სახელგანთქმული გერმანელი მწერალი პეტერ ალტენბერგი. ბევრმა გამოჩენილმა მწერალმა მოწოდებით მიმართა საზოგადოებას შემწეობის აღმოსაჩენად. პ. ალტენბერგი ცხოვრობს ვენაში Wallnerstrasse, 17, სადაც შეიძლება გაიგზავნოს სათანაგრძნობო განცხადება.

**პარიზში გარდაიცვალა** გამოჩენილი მუსიკოსმკვლევარი ლ. ბურგო-დიუკუდრე.

## დაბა-სოფლები

**ს. ბანძა** (სენაკის მაზრა). 1 აგვ. ქუთაისურ მსახიობის პ. კორიშელის მონაწილეობით ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა ა. ცაგარლის პიესები: „რაც გინახავს—ვეღარ ნახავ" და „ჭკუისა მჭირს". წარმოდგენამ საშუალოდ ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო, მაგრამ წესიერება-კი არ იყო დაცული. ე—ლი

**სოფ. ხაში.** 8 აგვ. ადგილობრივ სცენის მოყვარეთა-მიერ ვიქ. შარაშენიძის გამგეობით და იოსებ იმედაშვილის რეჟისორობით წარმოდგენილ იქმნა ივ. გომართელის დრამა „ქოხში" და ვოდევილი „გეურქ ადა და შანტაჟისტები". უკრავდა მარიენფელდელ მემუსიკეთა გუნდი. დიდძალი ხალხი მოაწყდა გარეშე სოფლებიდან, თეატრის პარტერი და გალერეა გაივსო, ორი წილი ხალხისა გარედ დარჩა უადგილობის გამო. წარმოდგენის დაწყებამდე იოსებ იმედაშვილმა დამსწრეთ აუხსნა თეატრის მნიშვნელობა და პიესის აზრი. კარგად ითამაშეს ნ. ლადიძე-ჭიაბრიშვილისამ, ქეთო ბაქრაძემ და ან. გოგნიაშვილმა. არა უჭირდათ-რა მ. ნახუცრიშვილს და ან. ჭიაბრიშვილს. ამ უკანასკნელის თამაში უფრო ბუნებრივი იყო. წარმოდგენის შემდეგ დამსწრენი და მონაწილენი—120-დე კაცი და ქალი—მებატონე თ. ჩოლოყაშვილმა მიიწვია ვახშმად. დიდად ნასიამოვნები საზოგადოება მეორე დღეს დაიშალა. შემოსავალი სცენის გაუმჯობესებას მოხმარდება. გ—ი

**დ. ოჩამჩირე.** 20 ივლ. აქაურმა „სცენის მოყვარეებმაც" დაიწყეს „ციმბირელი"-ს წარმოდგენა, მაგრამ იქამდე უვიცნი გამოდგენ ნაკისრ როლებში რომ... ჭექა-ქუხილმა შეიბრალა და შუა წარმოდგენაზე შეაწყვეტია. პ—ელი

**დ. სამტრედია.** სამტრედია მოწყვეტილია ყოველ გვარ კულტურულ გასართობს. წარმოდგენები იშვიათად იმართება და თუ გამართა, ისიც შეუფერებელი, ხალხისათვის ედმიუწდომელი. საზოგადო კითხვებს, რეფერატებს და ლექციებს ხომ სრულიად მოკლებულია ჩვენი დაბა.

ადგილობრივ არიან ინტელიგენტები, რომელთაც შეუძლიათ ლექციების კითხვა, წარმოდგენების

რიგიან დონეზე დაყენება, მაგრამ ამისათვის აქაური ინტელიგენტები ძალიან ცოტას ზრუნავენ. ნიადაგი სახალხო და ლექციებისათვი სსამტრედიაშარის.

აქ ჩამოვიდა სახალხო ლექტორი ბ. ილია ბახტაძე; 3 და 8 მარიამობისთვეს დაბის ორ-კლასიან ხასწავლებელში წაიკითხა ორი საჯარო ლექცია. პირველათ—„ჩვენს ახალგაზრდა პოეტებზე“ და მეორეჯერ—„დანიელ ჰონქაძეზე“

მიუხედავათ იმისა, რომ ბ. ლექტორმა აფიშები ლექციის წაკითხვის წინასწარ რამოდენიმე საათით გააკრევინა, და ისიც ცოტა, ხალხი მაინც საკმაოდ დაესწრო.

პირველ ლექციაში ბ. ბახტაძე შეეხო ჩვენს ახალგაზრდა პოეტებს, შეადარა ძველებს, აღნიშნა მათი მიმართულება და დროს შესაფერი მოღვაწეობა. მეორე ლექციაში შეეხო—ბატონ-ყმობას, გაარჩია „სურამის ციხე“ და აღნიშნა დიდი ღვაწლი დანიელ ჭონქაძის, ამ პირველ მებრძოლის ბატონ-ყმობის წინააღმდეგ.

ლექცია ბ. ილია ბახტაძემ მდაბიო და საამური ენით წაიკითხა. დამსწრე საზოგადოებას ლექციები მოეწონა. ლექტორი ორივე ლექციების დასრულს ხალხმა უხვი ტაშის ცემით და „ვ ა შ ა ს“ ძახილით დააჯილდოვა.

სახალხო ლექციები ხელ მისაწდომ ფასებში უნდა იკითხებოდეს. ბ-ნ. ბახტაძეს, ლექციებზე დასაწრები ბილეთები ერთობ გაეძვირებია. 40 კ. 30 კ. 20 კ. არ არის მისაწდომი ხალხისათვის.

დროა ადგილობრივი ინტელიგენციამ იზრუნოს სამტრედიაში სისტემატიურ სახალხო კითხვების და ლექციების მოგვარებაზე. **დასჯილი**

**დ. ხონი** 8 მარიობისთვეს წარმოდგენილი იქმნა „კვალ და კვალ“ 3 მოქ. კომედია ვალ. გუნიასი და მისივე 1 მოქ. კომედია „ადვოკატთან.“ წარმოდგენას რეჟისორობდა ნ. გვარაძე. პიესამ საერთოდ სუსტად ჩაიარა. ზოგი უალაგ-ალაგოს იცინოდა, ზოგს ხმა არ ქონდა შესაფერი. ვოდევილმა საზოგადოება ბევრი აცინა. საუცხოვო იყო იაკინთე ზარუბანიძის როლში—კ. მაჭარაძე. ქართული ენა ხონის თეატრში მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. ზოგი ერთნი სცენის მოყვარე-მსახიობნი სიტყვის დაბოლოებას ყლაპავენ, ზოგი ერთნიც სიტყვებს ამახინჯებენ.

ხუთშაფათს 5 მარიობისთვეს გაიმართა კონცერტი. სიმღერები, სკრიპკაზე და ფორტოპიანოზე დაკვრა თეატრის დარბაზში იყო, მხოლოდ ცეკვა თამაში კი ივანე შარვაშიძის სახლში. კონცერტს ხალხი ბლომად დაესწრო. კონცერტი მეტად უშინაარსო, უგემური იყო. პროგრამა კონცერტისა რუსულ სიმღერებით და რუსულ სცენებით იყო სავსე. ქართული კი ნაკლებ გვესმოდა. იყო ქართული ხორო, რომელმაც იმღერა სამი ქართული სიმღერა ბ-ნ მკურნალის ლოტბარობით. გ. წივწივაძეს, რომელსაც ორი ქართული ლექსი უნდა წაეკითხა ამ საღამოს, ნება არ მისცეს კონცერტის გამგე-პატრონებმა. ეს მეტად უმსგავსი მოქმედება კონცერტის გამგეების მხრივ და თანაც საზოგადოების აბუჩათ აგდებაა.

**ტეზეი**

**დ. ჭიათურა.** კვირას, 8 აგვისტოს, ქ-ნ ნ. დავითაშვილის მონაწილეობით წარმოადგინეს ცნობილი პიესა „ზღვასთან.“ დავითაშვილი ასრულებდა ჰედვიგას როლს და შესანიშნავადაც შეასრულა, რის გამოც მხურვალე ტაშითა და „ვაშათი“ დააჯილდოვეს. გვარიანი იყო აბტალიდი კლასის როლში, მაგრამ ნამეტნავად იპრანჭებოდა. არა უშავდა ტარუაშვილს პასტორის როლში, ცოტა როლი არ იცოდა. საზოგადოთ ანსამბლი კარგი იყო. **მლაშელი**

**აბასთუმანი.** 28 ივლ. ცნობილმა სკრიპკის დამკვრელმა, დავით დავიდიანმა გამართა კონცერტი. რასაც დიდი ძალი ხალხი დაესწრო. საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება არტისტს. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ქ.ქ. არამაკლისოვებმა, რომელნიც საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა. დავდიანი ამ დღეებში ჩამოვა თბილისში და გაემგზავრება სტამბოლს, სადაც სექტემბერში დაარსებს მუსიკალურ სკოლას. Ar.

## მ წ უ ხ ა რ ე ბ ა

მარტო ვარ... მარტო, სულით ობოლი,
მქეჯნის და მტანჯავს სევდა ნაღველი;
ვჭკნები უდროვოთ, ვით ხის ფოთოლი,
გლოვის ზარს მიმღერს ნიავი ნელი...

* *
*

სულ არ მახარებს ციურის ცვრებით
ტურფად ნაქარგი ზურმუხტი ველი;
ჩაფერფლდა გული ღრმა მწუხარებით,
ჩაკვდა სურვილი და საწადელი!...

* *
*

ოჰ, მეგობარო!... სულისა ტოლო...
მო, აღმადგინე, მომეცი ხელი...
თორემ ჩემს ვნებას არ უჩანს ბოლო,
მარტო ვარ... მარტო... მოდი... მოგელი!..

**ანნა გარე-კახელი**

# ყრუ სოფელში

სცენები 3 სურათად, გლეხთა ცხოვრებიდან.

X

იგინივე და **მეხარკე—კოსტა, დარაჯი** თოფით მხარზე და **კოლა**

**კოსტა.** (მიიხედ-მოიხედავს) ნიკა სად არის?

**მაიკო.** შინ არ გახლავს, ბატონო! პეტრეს ხარი წაუყვანა... ახლავ გიახლება.

**კოსტა.** პეტრე და გოგია არ ვიცი. ძაღლი ხომ არა ვარ, რომ მატყუებთ და საფოშტო გადასახადს არ იძლევით?

**მაიკო.** რათ კადრულობთ კოსტა?! მოტყუებას ვინ გაგიბედავთ... ახლა არა გვაქს ხელში; ამ ერთ კვირაში გავაჩენთ სადმე და მოგართმევთ.

**კოსტა.** ერთი კვირა არ ვიცი. თქვენ კვირა-ორშაბათს არ დალევთ. მამასახლისმა მიბრძანა—თუ ფული არ მოგცათ—ნარბევი გამოიტანე სახლიდან და მომიტანეო, ისე თვალით არ დამენახოვო.

**მაიკო.** მოახსენე, ბატონო, რომ ახლა არ გვაქვს ხელში.

**კოსტა.** არა გვაქვს რომელია?

**ფროს.** რა არის, კოსტა! ღმერთი არა გრწამს, ქრისტიანი კაცი არა ხარ?! პატარა ხანს დააცადე და გადიხდიან.

**კოსტა.** შენ ვინ დაგაყენა ამათ ვექილათ რა შენი საქმეა, რომ ეჩრები? შენ ის გირჩევნია, შინ წახვიდე და შენი ხვედრი გადასახადი დაამზადო, აქედან პირდაპირ შენთან მოვდივართ და თუ ფული არ მოგიმზადებია... ხომ გაიგონე მამასახლისის ბრძანება?

**ფროს.** (გულშემოყრილი) ღმერთო ჩემო! რა ამბავია, თათრობა ხომ არ არის?! (საჩქაროდ გადის)

**კოსტა.** აბა რაღას უცდი... ავეჯი ვეძებო?

**მაიკო.** რას ბრძანებ, ბატონო, ეს როგორ გეკადრება?!

**კოსტა** (დარაჯს) აბა, გამომყევ! როგორც ვხედავ, სიტყვით არა გამივიდა რა. ვინც ნებით არ იხდის,—ძალით უნდა გადავახდევინოთ! (კოსტა მიუახლოვდება დარაჯს და ორივენი სახლის მეორე თვალში გადიან)

**მაიკო.** რას შვრებით, სად მიდიხართ? (უკან მიუვება და კარებში შეჩერდება)

**კოსტას ხმა.** რა გაკივლებს?!. ბრძანება უნდა შევასრულო, კანონი მოითხოვს.

**მაიკო.** ნუ დამღუპავ, კოსტა! ამ ჩემი ნამზითვ ხალიჩას ნუ წამართმევ!

**კოსტა.** (კარებში მდგომ მაიკოს ხელს კრავს, აქეთ გამოისვრის და გამოდის, უკან იდლიაში ხალიჩა-ამოდებული დარაჯი მოსდევს) ამას რომ წავიღებ, მერმე დაფაცურდებით და ფულს მოიტანთ. არ მოიტანთ და გაგიყიდით.

**სონა.** მიაქვთ ამ ულმერთოებს?!

(კოლა, ნუცა და დათიკო თვალებ-აცრემლებული საწყლად დგანან)

**მაიკო.** (შესაბრალი სახით) იწამე, კოსტა, ღმერთი... ოღონდ ნარბევს ნუ წაიღებ, ხვალვე ქვას გავხეთქავ და მოგართმევ.

**კოსტა.** მე სალაპარაკოდ არ მცალია. (დარაჯს) აბა, წავიდეთ! (გასვლას აპირებენ, ამ დროს შემოდის **ნიკო**)

XI

იგინივე და **ნიკო**

**ნიკო.** (კოსტას და იდლიაში ხალიჩა-ამოდებულ დარაჯს რომ დაინახავს, ფერდაკარგული შეჩერდება კარებთან) აჰ!... ეს რა ამბავია?!.

**კოს.** ის ამბავია, რასაც შენი თვალითა ხედავ! მა რა გეგონა, რომ იტყუილებოდი; „აი—დღეს, აი—ხვალო!"

**ნიკო.** კოსტა კაცო, ამას რას მიშვრები, მართლა ოჯახს მირბევ?!

**კოსტა.** გირბევ კი არა... თვალებში გაკოცებ!. არ იცი, თორემ ასეთია კანონის ძალა. (გასვლას აპირებს)

**ნიკო.** (წინ გადაეღობება) ნუ იქ, კოსტა, ამას. ხვალვე ვიშოვი სადმე და მოგიტან, ოღონდ ამ ხალიჩას ნუ წაიღებ, მეზობლებში თავს ნუ მომჭრი, ნუ გამასასაცილოებ!..

**კოსტა.** არ შეიძლება, ნაბრძანები მაქვს. (მიიწევს გასასვლელად)

**ნიკო.** (ხელს სტაცებს) კოსტა...

**კოს.** (შეჰყვირებს) იქით! ვის უბედავ ხელის ხლებას! ხომ იცი, მე მთავრობის კაცი ვარ?

**ნიკო.** ვერა, ვერ გაგიშვებ, აქ რომ ამკეპო კიდეც. შე ულმერთო, რაზე მარცხენ, თავს რაზე მჭრი?!

**კოს.** (მაგრად კრავს ხელს და მოიცილებს) გამეცალე, ნუ მეპოტინები!

**მაიკო.** ჩემი ბალღა დამიტოვეთ, თქვე..

**ნიკო.** (დარაჯს მივარდება, ხალიჩას სტაცებს ხელს) აქ რომ მომკლათ, მაინც არ გაგატანთ.

**კოს.** როგორ ბედავ, შე წუპაკო, რომ დარაჯს ეტოქები?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მაიკო.** იწამეთ ღმერთი, ნუ წაიღებთ!

**კოს.** ჩაკარი თოფის დუმა! როგორ გიბედავს ხელის ხლებას!

**დარაჯი.** თუ მიბედავს, მე ვაჩვენებ სეირს. (ცალი ხელით ხალიჩას ჩაავლებია, მეორეთი თოფს მოიმარჯვებს და ნიკოს მოუქნევს; ნიკო ხალიჩას და თოფს წაავლებს ხელს. დარაჯიც ხალიჩას ხელიდან გააგდებს და ნიკოს თოფს გამოგლეჯს)

**კოს.** (მივარდება და ხალიჩას ჩაავლებს) წინააღმდეგობის გაწევასაც გვიპირობს?! ჩააზილე თოფის დუმა... წამოათრიე მამასახლისთან, ის ასწავლის, როგორ უნდა ურჩობა! ის აგემებინებს კანონის ძალას.

**დარაჯი** (ცემით კარებისაკენ მიათრევს)

**ნიკო.** ოჰ, თქვე ძაღლებო, თქვე ურჯულოებო! (უკან ეწევა) ცოცხალი არ წაგყვებით... ხალიჩა დამიტოვეთ!

**კოს.** რა გაგიჭირდა მაგის წამოყვანა? დასცხე და წინ გამოიგდე! (დარაჯი დაუზოგავად სცემს ნიკოს. ნუცა და დათიკო ერთმანეთს მიეკვრიან და სტირიან. სონას გული შეუღონდება და დაეცემა, მაგრამ ამას არავინ ამჩნევს. მაიკო და კოლა ნიკოს მისაშველებლად წაიწევიან. დარაჯი კოლასაც ჩაკრავს გულში თოფს კოლა ძირს ეცემა)

**მაიკო.** მოკლეს ამ ულმერთოებმა! (მივარდება კოლას)

**ნიკო.** რას შვრებით, თქვე ავაზაკებო, რაზე გვხოცავთ?!..

(დარაჯი და კოსტა ნიკოს მიწაზე მიაჩოჩებენ)

## ფ ა რ დ ა

## მოქმედება მეორე

მოედანი სოფლის სამმართველოს წინ. დიდი კაკლის ხე, რომლის ირგვლივ ჩამოსაჯდომი ფიცრებია შემოჭედილი. სახლის პირი მარჯვნით აქვს. მოედანი ცოტა ხანს ცარიელია. შორიდან მოისმის **ივანეს ხმა**: „შენ, ჩემო შვილო, ჯერ ბალღი ხარ და რა იცი. მე დიდი ვაინობის დროს კარგი მოზრდილი ბიჭი ვიყავი და ჩალვადრის ცხენებს დავსდევდი“. გამოჩნდებიან მოედანზე გოგია და ივანე.

### I

**გოგია** და **ივანე**

**ივანე.** კაცი ყაჭის პარკივით გავთეთრდი და ერთი სიამის დღე არ გამომიცდია. გლეხი კაცის ცხოვრება—აბა რა ცხოვრებაა? დაუსრულებელი წამება და მეტი არაფერი. უთენიიდან დაიწყებ მუშაობას, კაი დავახშმებამდე მიწას ჩაჰკირკიტებ და მაინც საშველი არა გაქვს.

**გოგია.** მიწაც არ გვაქვს სამყოფი, თორემ სხვას ვინა სჩივის! სხვისი მიწა უნდა მოხნა, დათესო, დაფარცხო, დათოხნო, ერთი ორი გოდორი სიმინდი აიღო და ისიც მიწის მეპატრონეს გაუყო; სახლშიც-კი შენი ხარ-ურმით უნდა მიართვა თავისი წილი, თუ არ გინდა აყალ-მაყალი აგიტეხოს და თავს უბედურება გადაგკიდოს

**ივ.** (ჩამოჯდება კაკლის ხის ძირში) ასეა, ჩემო შვილო, მეც ამას ვსტირი. ვინ იცის, რა არ გადაჰხედია ჩემს მრავალ-ტანჯულ თავს, რა გაჭირება არ უნახავს?! ბატონ-ყმობის დროს ხომ რაც იყო იყო, მაგრამ მერმე რაღა კარგ დღეში ვართ?! ჩვენი სისხლით შეღებილი და სიმწრის ოფლით მორწყული მიწები ხელიდან გამოგვაცალეს, ბატონებმა შეინარჩუნეს და—თავისუფლები ხართო – გვითხრეს. ჭეშმარიტად, რომ გავთავისუფლდით, მაგრამ ბატონებისგან კი არა, მიწა-წყლისაგან.

**გოგ.** ახლაც ისევ ყმები ვართ. მიწის მეპატრონეს სად წაუხვალ? მის ნებაზე უნდა იარო და მის სურვილზე იმუშავო. (მოედანზე გამოჩნდებიან გლეხები)

### II

იგინივე და ექვსამდე **გლეხი**

**პეტრე.** ივანეს და გოგიას გაგიმარჯოთ.

**გლეხები.** გამარჯობათ, გამარჯობათ!

**ივ.** ღმერთმა გაგიმარჯოსთ!

**გოგ.** გაგიმარჯოსთ!

**პეტ.** (ივანეს მიუჯდება გვერდზე) ასეთ პაპანაქებაში შენ მაინც რამ წამოგიყვანა იმ სიშორედან, ივანე?!.. ოცდა ხუთი წლით მაინც ვიქნები შენზე უმცროსი და ძლივს მოვაღწიე.

**ივ.** გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ნათქვამია, პეტრე ჩემო... ხომ იცი ჩვენი მამასახლისის ამბავი... ყრილობაზე რომ არ გამოცხადდე, ერთი-ორი დღით ვირის აბანოში გიკრავს თავს და ერთი მანათითაც დაგაჯარიმებს. შვილი ვერ მოვაცდინე, ყანებს ბალახი მოერია და თუ დროზე არ გაიმარგლა, გაოხრდება და გატიალდება.

1 **გლეხი.** სწორედ გაჭირდა სიცოცხლე! ასეთ დროს მუშა კაცის მოცდენა რა მადლია?!.

### III

იგინივე, **ნიკო** და კიდევ რამდენიმე **გლეხი**; ამათ

უკან მოუყვებათ ხუთ-ექვსამდე უსაქმოთ მოხეტიალე ახალგაზრდა ქალ-ვაჟი.

**ნიკო.** გამარჯვებათ თქვენი!

**ყველანი.** ღმერთმა ნიკოს გაუმარჯოს! (უსაქმო ახალგაზრდანი სამმართველოს აივანზე ავლენ და ერთ მხარეზე დასხდებიან. იქიდან განუწყვეტლივი სიცილ-ხარხარი და ხუმრობა მოისმის)

**ნიკო.** (ოფლს იწმენდს ახალუხის კალთით) უჰ!... ისეთი სიცხეა, მგონი სული ამომხდეს.

2 **გლეხი.** სიცხე ხომ არის და არის, მაგრამ ეს დალოცვილის შვილი რომ მაინც და მაინც საქმი დღით გვაცდენს, რა არისო?!. ეს „ვეზდი ნაჩალიკი“ მოდისო, ის გუბერნატორიო, ეს ისაო, ეს ესაო... ჩვენ ამ კანცალარიაზე სიარულს მოვუნდით და ჩვენს ყანებს რა ეშველება, ამას-კი არავინ კითხილობს.

**ნიკო.** რომელი ერთი უნდა ჩამოთვალო, კაცო?.. ერთი მარტოხელი კაცი ვარ და სწორეთ გავწყდი წელში ამოდენი ბეგრითა: ეს გზაო, ის ყარაულობაო, ერთი სიტყვით არც დღე და არც ღამე მოსვენებას ველარ ველირსეთ, ნამეტნავად რაც ეს დიმიტრა დავაყენეთ მამასახლისათ, სულ დავიღუპენით.

**პეტ.** ეგ-კი მართალია: მაგან დაგვაქცია და ამოგვაგდო... (მოედანზე გლეხები თანდათან ემატებათ; ცალ-ცალკე ჯგუფებათ გროვდებიან და ბაასობენ)

**ნიკო.** ვინც ათ შაურიანს ჩაუდებს, იმას არც საყარაულოდ იწვევს, არც გზის ბეგარაში, შეუძლია ყრილობაზედაც არ მოვიდეს; ამისათვის არც ნაობახს ნახავს, არც შტრაფს გადაიხდის. იმათ მაგივრათ-კი ჩვენ გვამუშავებს და გვაყარაულებს. ქრთამებით და ჩვენი ნაოფლარ-ნაშრომით ისქელებს ჯიბეებს. მაშ როგორ წამოჭიმა ის დიდი სასახლე?!. რომელი ოქროს მადნები ჰქონდა, ჩემზე უარესად არ იყო ჩამოგლეჯილი, სანამ მამასახლისათ ავირჩევდით?

3 **გლ.** (ნიკოს) მაგას ნუ იტყვი, ნიკო, თორემ ხომ იცი მისი ამბავი: თუ კბილი ჩაგასო, შენს სიცოცხლეში აღარ გაგახარებს.

**ნიკო.** ბიჭოს! შე ოჯახ-აშენებულო, შეგვჭამა, გაგვყვლიფა და კიდევ არაფერი ვთქვათ! კბილი დიდი ხანია ჩასობილი მაქვს და ამაზე მეტს რაღას მიზავს?!,. თუ აქამდე არაფერს ვამბობდით და ჩუმათ ვიკლავდით გულში შხამსა და ნაღველს, კიდეც იმისთვის არის, რომ ზურგზე მოგვჯდა და გვაცლის ტყავს...

**ხმები.** მართალია, მართალი!..

1 **გლ.** რა უნდა ვიღონოთ? ვინც უნდა დავაყენოთ, ყველა მაგასავით მოგვექცევა.

**ნიკო.** თუ დავმუნჯდით და ხმა არ ამოვიღეთ, კიდევ უარეს საქმეს დაგვმართებს.

IV

იგინივე და **სეფე**

**სეფე.** გამარჯობათ, ხალხო! (აივანზე ადის იქ მჯდომ ახალგაზრდებს მოწიწებით უკრავს თავს და შორიახლო დგება. სიცილით ეგებებიან)

2 **გლ.** სულ ვიძახით: გამოვცვალოთ, გამოვცვალოთო, მაგრამ ვერაფერი-კი დავაკელით.

**ივ.** რას დააკლებ, როდესაც ათასი ძაღლი და ღორი მაგის მხარეზეა? რაც გავლენიანი და გამოჩენილი კაცია ჩვენს სოფელში, ყველა მაგის დამხმარე და მფარველია. არჩევის დღეს რომ შეიკრიბებიან და დაიყვირებენ: «დიმიტრა, დიმიტრაო», ძაან გულითაც გინდოდეს, კრინტს ვერ დასძრავ, ვაი თუ მაინც ეგ აირჩიონ და მერე მე ჟინში ჩამიდგესო, ფიქრობ.

**პეტ.** შეკრულ-შებოჭვილი ვართ და რას გავხდებით? მე ეგ არც წინა არჩევნებზე მინდოდა, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე. არჩევნების წინ ჩემი საყანეების პატრონმა დამიბარა და მკითხა, — ვის ირჩევთ მამასახლისათო. — ეს ჯერ არც მე ვიცი! — ვუპასუხე, მაგრამ დიმიტრა არც სხვებს უნდა და არც მე მეთქი. ეს რომ გაიგო, ისეთი დაწკურული თვალებით შემომხედა, რომ გული გამისკდა — ეს, ეს არის გადამყლაპავს მეთქი. მერე მომიყვა ამ მთისა იმ მთისა და მითხრა: „თუ არჩევნების დღეს დიმიტრას წინააღმდეგ კრინტი დაგიძრავს, ჩემი ადგილებიდან იმავე დღეს აიკარ ფეხიო. სხვები მეხვეწებიან და მათ მივცემო“. ამის შემდეგ პირში წყალი ჩავიყენე, რაღა უნდა მექნა? ხუთი წელიწადია იმ ადგილებში ვმუშაობ, ჩემი სისხლით და ოფლით არის მორწყული და იქიდან რომ გამოვეგდე; რაღა მეშველებოდა, სად წავსულიყავ?..

(შემდეგი იქნება)

**ივ. ჭავჭანიძე**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

მადნეულის, ხილეულის და სამკურნალო წყლის

# ქ ა რ ხ ა ნ ა

# მ. ლალიძის და ამხ-სა

თბილისი, გოლოვინის პროსპ. № 6 ტელეფონი № 411.

# ჩვენი ქარხნის წყალი

**მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვნით და საუკეთესო ხილეულის შარბათით გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.**

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ „ვაკუმის“ მანქანებით სპეციალისტის ხელმძღვანელობით

მუშტარი ადვილად დარწმუნდება, რომ ჩვენი ქარხნის

# წ ყ ა ლ ი

**მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ს გ ე მ ო ს ი და ს უ ნ ე ლ ე ბ ი ს ა ა,**

და თბილისის სამკურნალო განყოფილების ანალიზითაც

მ ი ს ი კ ა რ გ ი ღ ი რ ს ე ბ ა დ ა ჯ ი ლ დ ო ე ბ უ ლ ი ა

ამიტომაც ჯანმრთელობის გულისათვის ეს ქარხანა ურჩევს ბბ. მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ, რადგან ზოგიერთი ვაჭრები ჩვენის სახელით სხვა ქარხნების უფრო იაფსა და მომსგავსებულ წყალს ასაღებენ.

მოითხოვეთ ყველგან **მ. ლალიძის** და ამხანაგობის **წყალი**

**და ამასთან მიაქციეთ ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა**

## თავსაცობი ჩვენი ქარხნის ბეჭდით

ქარხანა ხილეული წყლით **ფარჩინებულ თვისებისათვის** დაჯილდოვებულია ოქროს და ვერცხლის დიდი მენდლით

10--9

# ახალი გზა

**ყოველდღ. საპოლიტიკ სალი-ტერ.** გაზეთი. წლიურად 7 მან. ნახევარი წლით4 მან. საზღვარ-გარედ 14 მან. ნახევარი წლით 7 მან. რედაქტ.-გამომც. **ზ. ტყეშელაშვილი** ადრესი: Тифлисъ, тип., «Шрома», **Кал. Кон. Цуладзе.**

# სახალ. გაზ.

**ყოველ-დღ. საპოლიტ. სალი-ტერატ.** გამოცემა, კვირეული სურათებიანი დამატებით წლი-ურად 8 მან. ნახევარ წლით 4 მან 50 კ. რედაქტ.-გამომ-ცემელი **დ. ხრამელაშვილისა** ადრესი: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Сем. Пашалашвили.

# ჯეჯილი

საყმაწვილო **სურათებიანი ჟურნ.** XXI **წ.** წლიურად 4 მ. თითო წიგ. 40 კ. რედაქტორ-გამომცემელი **ან. თ.- წერეთლისა**

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. № 695.

**ვ. ვაშაყმაძე** —ყოველ დღე 9—11 საათ. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავ შვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ საათ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$ საათ. სი-ფილისი, კანისა და ვენ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. დი ქალების, 1—2 საათ.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ.. ყურ. და ცხვირ. ყო, ველ დღე 12—1 საათ.

**ვ. გ. ფედოროვი** ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური დ ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა, ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

# ნაკადული

საყმაწვ. სურათ. ჟურნალი წელ. VI

**24** წიგ. მცირე წლო—თვის ‖ **12** მოზრ—თვის

4 პრემიით წლ. 5 მან., ნახევარი წლით 3 მან. რედ. **ნაკაშიძე** გამომცემელი **პ. ი. თუმანიშვილი**

კვირას 15 აგვისტოს

ქართულს საზაფხულო თეატრში

გაიმართება **შესანიშნავი ფრანგული**

# ჭიდაობა



**ცნობილი მოჭიდავის ეიჟენის ხელმძღვანე-ლობით.** ჩამოსულია 20 მოჭიდავე ფალავანი.

კვირას იჭიდავებენ ხუთი წყვილი ფალავა-ნი. **ადგილების ფასი** 30 კ.—2 მან.

**ყველასათვის ხელმისაწდომია**

ჭიდაობის დაწყებამდე სინემატოგრაფი უჩვენებს **საინტერესო, სამეცნიერო და გასართობ სუ-რათებს.**

# НОВАЯ РѢЧЬ

**Ежедн. общ. полит. литературная газета** На годъ 7 руб., $^1/_2$ года 4 руб. помѣсячно 75 коп. Тифлисъ, Дворцовая ул. д. Груз. Двор. ред. «Новая рѣчь». Ред. **Р. Д. Бебіевъ.** Издат. **П. А. Готуа**

# ЗАКАВКАЗЬЕ

Ежедневное изданіе. За годъ въ Тифлисѣ 6 руб. полгода 3 р. 50 к., въ другіе города—8 руб.,—4 руб. 50 к. — Тифлисъ Эриванская площадь, д. Гургенова: Ред-изд. Кн. **Г. І. Амираджиби.**